9080

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

2 აპრილი სამშაბათი 1991 № 38 (11671)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


# ხმას ვაძლევთ თავისუფალ საქართველოს



**ქუთაისი.** რეფერენდუმი და ადგილობრივი საკრებულოს არჩევნები ქუთაისში, როგორც მოსალოდნელი იყო, ამაღლობით ჩატარდა. — განმარტა ქალაქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვიტალი ბაკურაძემ. — საღამოს ექვსი საათისათვის სამ მანდატიან ჩვიდმეტივე ოლქის საარჩევნო უბნებში, თავისი ნება უკვე გამოხატა ამომრჩეველთა თითქმის ოთხმოცდაათმა პროცენტმა. მათ შორის: არაქართველი მოსახლეობის იმ ხუთმა პროცენტმა, რომელიც ქუთაისში ცხოვრობს. დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. ასეთივე აზრი გამოთქვეს ამერიკელმა, ინგლისელმა, ფინელმა, ესტონელმა დამკვირვებლებმაც.

**სოხუმი.** როგორც ვიცით აფხაზეთში მოწყობილ საკავშირო რეფერენდუმზე არ დაუშვეს მთელი გალის რაიონი. თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებების შებღალვისათვის თავისებური რევანში აიღეს აქაურმა ამომრჩევლებმა. თავისუფალ საქართველოს აქ ხმა მისცა რეფერენდუმის მონაწილეთა 97 პროცენტმა.

აქტიურად ჩაიარა საქართველოს რეფერენდუმმა აფხაზეთის სხვა რაიონებშიც. საარჩევნო უბნებში შექმნილი იყო ყველა პირობა ადამიანთა თავისუფალი ნება-სურვილის გამოსახატავად. აფხაზეთში რეფერენდუმის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდნენ საზღვარგარეთელი ექსპერტები, რომლებიც აქ მეთვალყურეებად ჩამოვიდნენ, აგრეთვე უცხოელი ჟურნალისტები. წინასწარი მონაცემებით, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 62,4 პროცენტმა. აქედან ამომრჩეველთა 98,1 პროცენტმა.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნები აფხაზეთში არ გამართულა იმის გამო, რომ აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ ამის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონს არ შეუსაბამისა ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.



**ბათუმი.** როგორც ბათუმის საქალაქო კომისიის თავმჯდომარემ იური ბიბილეიშვილმა გვაცნობა, რეფერენდუმში მონაწილეობდა 77.307 კაცი, რაც შეადგენს ამომრჩეველთა რიცხვის 97,9 პროცენტს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა 75.291 კაცმა — 97,4 პროცენტმა. წინააღმდეგ — 1.258 კაცმა, ბათილი აღმოჩნდა 758 ბილეტენი, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობდა 70,114 კაცმა — ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 887 პროცენტმა.



**მოსკოვი.** რეფერენდუმი მოსკოვში რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში ჩატარდა. შენობის შესასვლელთან გამოკრულ ცნობაში ნათქვამი იყო: „ყველას, ვინც ჩაწერილია საქართველოში, მაგრამ დროებით ცხოვრობს მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში, აგრეთვე იმყოფებიან სამკურნალოდ, დასასვენებლად და ა. შ., შეუძლია მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში“.

მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრის ხელმძღვანელების ცნობით, პირველი შედეგები ასეთია: 978 კაციდან, რომლებიც ხმას აძლევდნენ თბილისის სიით, 969-მ უთხრა „დიახ“ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, წინააღმდეგი იყო ორი, დანარჩენი ბიულეტენები ბათილად ცნეს. აფხაზეთის 173 მცხოვრებთა შორის, რომლებიც ხმას აძლევდნენ მოსკოვში სოხუმის სიით. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა მოიწონა 171-მა კაცმა. და, ბოლოს, ამ ბოლო მომენტში აქ ჩამოსული და დამატებით სიაში შეტანილი 957 კაციდან 949-მ დადებითი პასუხი გასცა.

●



**სურათებზე:** ხმას აძლევს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი **ზვიად გამსახურდია**; ხმას აძლევს საქართველოს ეროვნული გვარდია; სოხუმის საქალაქო სარეფერენდუმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე სოსო დარახველიძე უპასუხებს ზედამხედველების — პალესტინელ შახურ ხალედს და ერაყელ ახმედ კარიმის შეკითხვებს; მეთვალყურეები — პალესტინელი შახურ ხალედი და ჩინელი ჩჟაუ ბაოჟუნი სოხუმის 21 საარჩევნო ოლქში.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

●

(დასასრული მე-4-ე გვ.).

# პროვოკაცია სამაჩაბლოში

**31 მარტს** სამაჩაბლოს ქართული სოფლების მოსახლეობამ ერთსულოვნად მისცა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამან გააღიზიანა ოსი სეპარატისტები და ექსტრემისტები. ამას დაემატა ის დეზინფორმაცია და აშკარა წაქეზება, რასაც ამ დღეებში ეწევიან პროგრამა „ვრემია“ და ცენტრის სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

31 მარტს ღამით ცხინვალში კვლავ ატყდა სროლა. ბანდიტებმა ცეცხლი დაუშინეს საქართველოს მილიციის საგუშაგოებს. ღამის 11 საათიდან 1 საათამდე ოსი ექსტრემისტები ცხინვალის მხრიდან რაკეტებს უშენდნენ გორის რაიონის სოფელ ნიქოზს. ერთ-ერთი რაკეტა მოხვდა ლადო მჭედლიძის საცხოვრებელ სახლს. ლადო მჭედლიძე დაიღუპა, ხოლო იქვე მყოფი მისი თანასოფლელები გიორგი გახაშვილი და ჯონი მარტაშვილი დაიჭრნენ.

1 აპრილს დღის განმავლობაში სროლა არ ყოფილა, მაგრამ ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში დაძაბულობაა.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**

საქინფორმი.

# რიჩარდ ნიქსონის საქართველოდან გამგზავრა

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, რომელიც ორი დღის მანძილზე იმყოფებოდა საქართველოში, 31 მარტს მოსკოვს გაემგზავრა. გამგზავრების წინ ექსპრეზიდენტი ეწვია რესპუბლიკის დედაქალაქის რამდენიმე საარჩევნო უბანს, სადაც ამ დღეს მიმდინარეობდა რე[illegible]რენდუმი საქართველოს სა[illegible]ვლებრივი დამოუკიდებლო[illegible]ღგენის საკითხზე და ხელი[illegible]ბის ადგილობრივი ორგანოების — რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნები. მან დიდი შეფასება მისცა რეფერენდუმის და არჩევნების ორგანიზაციასა და დემოკრატიულობას, აღნიშნა, უფლება რომ მქონდეს. სიამოვნებით მივცემდი ხმას საქართველოს დამოუკიდებლობას.

ამის წინ რიჩარდ ნიქსონმა გამართა პრესკონფერენცია. უპასუხა შეკითხვებს, რომლებიც ეხებოდა საქართველოში მისი ყოფნის შედეგებს, ამერიკის შეერთებული შტატებსა და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის უშუალო კონტაქტების გაფართოების პერსპექტივებს.

საქინფორმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ჩავატაროთ მიწის რეფორმა?

**ჩვენს** პრესაში გახშირდა წერილები მიწის საკუთრების შესახებ. რაკი მოვესწარით დიდი ხნის ოცნების ასრულებას, იმას, რომ სიტყვის თქმის თავისუფლება მოგვეცა, გადავწყვიტე მიწათსარგებლობის საკითხის ირგვლივ ჩემი საკუთარი მოსაზრებაც გამოვთქვა, ვინაიდან გამოქვეყნებული მასალები, ჩემის აზრით, ყოველთვის არ ასახავენ სინამდვილეს.

ძალით შექმნილ კოლმეურნეობას, რომელსაც ლენინური პარტია „ნებაყოფლობით" გაერთიანებას ეძახდა, გლეხობამ მალე შეაქცია ზურგი, ხალხმა, როცა დაინახა რომ კოლმეურნეობიდან ვერაფერს იღებდა, მასობრივად დაიწყო მისი მიტოვება და სხვაგან სამუშაოს ძებნა. ისევ ძალადობა — დაწესდა შრომადღეების გამომუშავების სავალდებულო მინიმუმი — წელიწადში 120 შრომადღის რაოდენობით. ვინც ამ სავალდებულო დღეთა რაოდენობას არ გამოიმუშავებდა, აჭრიდნენ და ართმევდნენ საკარმიდამო მიწის იმ ნაკვეთსაც, რომლითაც თავს ირჩენდა გლეხი.

ამითაც არაფერი გამოვიდა, ისევ ძალის გამოყენება გახდა საჭირო. გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც „საკოლმეურნეო შრომის თავისამრიდებლების" სოფლიდან გასახლება დაიწყეს. მაგრამ ვერც ამან უშველა დასაღუპავად განწირულ კოლმეურნეობას, არც კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობებად გადაკეთებამ და შრომის ფულით ანაზღაურებამ მოიტანა სიკეთე.

საზოგადოებრივი მეურნეობების შენარჩუნების ცდა — იჯარაც, რომელიც „პერესტროიკის" შემოქმედმა მიხეილ გორბაჩოვმა შემოგვთავაზა, ვერ ამართლებს იმედს. იჯარაზე ბევრს არ ვილაპარაკებ, მის შესახებ საკმაოდ იწერება, არც მისი მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტების გარჩევას შევუდგები. ვიტყვი მხოლოდ ერთს: იჯარის შემოღებიდან გასული ხუთი წლის განმავლობაში მოსახლეობის სურსათით მომარაგება კი არ გაუმჯობესდა, პირიქით, გაუარესდა კიდეც. ბაზარზე სოფლის პროდუქტების ფასი ერთი ათად და მეტად გაიზარდა.

კერძო საკუთრების უპირატესობის საილუსტრაციოდ მოვიშველიებ ერთ ასეთ მაგალითს. დღეს საზოგადოებრივ სექტორში მთელი მიწის ფართობის 70 პროცენტზე მეტია მოქცეული, კერძო სექტორში კი — 30 პროცენტზე ნაკლები. მაგრამ უკანასკნელში — კერძო სექტორში — ორჯერ მეტი მოსავალი მოჰყავთ, ვიდრე საზოგადოებრივ სექტორში. საკითხავია, რატომ? ამის პასუხი ერთმნიშვნელოვანი შეიძლება იყოს: იმიტომ, რომ კერძო სექტორში დაინტერესება მეტია.

მოკლედ, მეურნეობის საზოგადოებრივმა ფორმამ ამოწურა თავის თავი და ირღვევა, მისი დაშლა ისეთივე გარდუვალია, როგორც რუსეთის იმპერიისა. მაგრამ ეს არის საქმის ერთი მხარე, დაშლა და ნგრევა შედარებით ადვილია, შენება ძნელი. საკითხის მეორე მხარეა მთავარი და მნიშვნელოვანი — როგორ მოვაწყოთ და ჩავატაროთ მიწის რეფორმა?

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, სოფლის მეურნეობის მართვის არცერთი დღევანდელი ფორმა და მეთოდი არ იძლევა სასურველ შედეგს, მათ შორის არც გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა, რომელიც სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული გურამ უსტიაშვილის მიერ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" 1991 წლის 10 იანვრის ნომერში.

ერთი სიტყვით, ხალხის მიერ არჩეულ საქართველოს უზენაეს საბჭოს მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად სოფლის მეურნეობის დარგშიც. მაშ, რა ვქნათ, სად არის გამოსავალი? როგორ მოვიქცეთ, რომ შიმშილს დავაღწიოთ თავი? ამ კითხვის პასუხი ერთგვაროვანი არ არის. ზოგიერთი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შენარჩუნებას მოითხოვს, ზოგი გამოსავალს იჯარის დანერგვაში ხედავს, ზოგი გლეხურ მეურნეობას მიიჩნევს ხსნის საშუალებად, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ფაქტები მათ სასარგებლოდ არ ლაპარაკობს, ჩანს, რომ აბსოლუტური უმრავლესობა მაინც მიწაზე კერძო საკუთრების აღდგენის მომხრეა.

მწამს, რომ მხოლოდ მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებას ძალუძს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა, მაგრამ არ ვეთანხმები და ვერც დავეთანხმები მიწების თანაბარ ნაწილად დაყოფისა და მისი უფასოდ, უსასყიდლოდ დარიგების იდეას, და აი რატომ:

მიწის ყველა მონაკვეთი ერთგვაროვანი არ არის, არის ნოყიერი, მაღალმოსავლიანი ნიადაგები, და პირიქით. ამასთან ერთად მიწის ყველა ნაკვეთი ერთნაირი მისადგომი და დასამუშავებელი არ არის, მისი ერთი ნაწილი უფრო ახლოა საცხოვრებელ პუნქტთან და ირწყვება, მეორე ნაწილი დაშორებული და მთაგორიანია, გვალვის შემთხვევაში წყალს ვერ მიუყვენებ. მრავალწლიანი ნარგავებით — ხეხილით, ვაზით, ჩაით, ციტრუსებით და ა. შ. გაშენებული ადგილებიც ხომ არის, როგორ გინდა დაანაწილო ისინი?!

კარგი მიწების მიღების მისწრაფება ხომ გამოიწვევს მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას, ურთიერთ შეხლა-შემოხლას, შესაძლოა სისხლისღვრაც. იგი ფართო გასაქანს მისცემს მექრთამეობას, პროტექციონიზმს. მიწის უფასოდ დარიგებას სხვა უარყოფითი მხარეც აქვს. ასეთ შემთხვევაში მიწას ყველა მოითხოვს, რამეთუ მუქთას ყველა ეტანება. მოითხოვენ ისინიც, რომლებიც აქედანვე ვიცით, რომ მას არ მოუვლის, ან არ უპატრონებს (შრომისუუნარონი...) და როგორც კი დროს იხელთებს, გაასხვისებს, გაყიდის (ამის მაგალითები ახლაც ბევრია: ცოტა როდია ფაქტები, რომ უფასოდ მიცემული მიწის ნაკვეთები გაიყიდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით აკრძალულია და მასზე სასჯელია დაწესებული), მიწის უფასოდ მიღების სურვილით ოჯახების ფაქტიური გაყრაც გახშირდება.

ამიტომ, ჩემის აზრით, მიწა უფასოდ კი არ უნდა დარიგდეს, უნდა შედგეს კვალიფიციური კომისია ხალხის მიერ შერჩეული პირებისგან და საზოგადოებრივი მეურნეობების მთელი ქონება უნდა აღინუსხოს, შეფასდეს და აუქციონის წესით გაიყიდოს განსაზღვრული რაოდენობით საქართველოს მხოლოდ მკვიდრ მოსახლეობაზე, მათ შორის ქალაქელებზეც თუ ამის საშუალება გამოინახება. ისეთ ოჯახებს, რომლებსაც ყიდვის შესაძლებლობა არ ექნებათ, და ასეთები კი ბევრი აღმოჩნდებიან, უნდა მიეცეთ სახელმწიფო სესხი.

მიცემული (მიყიდული) მიწა მის მეპატრონეს არამარტო მუდმივად და მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით უნდა მიეცეს, არამედ მისი ყიდვა-გაყიდვის ნებაც უნდა დაერთოს. თავისუფალ ქვეყანაში ამის თავისუფლებაც უნდა იყოს.

მიწის ყიდვა-გაყიდვის სარეგულირებლოდ საჭირო იქნება დაარსდეს საადგილმამულო ბანკი, ისეთი, როგორიც თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა.

მიწის ყიდვა-გაყიდვის სარგებლიანობა ასე მესახება: იმის გამო, რომ ჩვენი მრეწველობა ვერ უშვებს საკმაო რაოდენობის მოხმარების საგნებს, ხალხში დიდი რაოდენობით ფული დაგროვდა. თუ ჩვენ მიწას, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, გავყიდით, ხალხში დაგროვილი ფულის ნაწილს მაინც ამოვქაჩავთ და მიმოქცევის სფეროში მოვაქცევთ, გაღარიბებულ და ასე გაკოტრებული ქვეყნის სალაროს მიღებული ფულით შევავსებთ, — ეს ერთი.

მეორე: მიწის გაყიდვით მიწას ნამდვილი მზრუნველი გაუჩნდება და ამით მოსავლიანობაც გაიზრდება, მიწის მყიდველი მას აუცილებლად უპატრონებს, რადგან მასში დაბანდებული კაპიტალი აანაზღაუროს და შემოსავალიც დარჩეს.

მესამე: მიწის გაყიდვით ჩამოვიშორებთ მიწის აბეზარ მთხოვნელებს, რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, წინასწარ ვიცით, რომ არ, ან ვერ დაამუშავებენ მიცემულ ნაკვეთებს.

მიწას გავყიდით თუ გავასაჩუქრებთ, იგი უნდა დამუშავდეს, მაგრამ როგორ, რით? ამ კითხვაზე ჩემი პასუხი ასეთი იქნება: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზაციის სადგომების ბაზაზე შეიქმნას გამქირავებელი ავტოსატრაქტორო პარკი, ადრე არსებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურის (მტს) მსგავსი, საიდანაც მოსახლეობას შეეძლება საჭირო მანქანების ქირაობა.

პროდუქციის მოხმარება კი ასე წარმომიდგენია: მიღებული მოსავალი, ცხადია, მთლიანად თვითდაკმაყოფილებას არ დასჭირდება, მის ნაწილს რეალიზაცია უნდა. მუშა-კაცი ბაზარში სიარულით და დგომით რომ არ გავაცდინოთ, საჭიროა შევქმნათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემსყიდველი პუნქტები, ვთქვათ ისეთები, როგორიცაა ყურძნის მიმღები ქარხნები, სადაც შეიძლება საქონლის დაუბრკოლებლად მიტანა და ჩაბარება. აქ ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებათა საფუძველზე შეიძლება კონტრაქტაცია გაფორმდეს.

**ამირან ხაშმელაშვილი,**
**პერსონალური პენსიონერი,**
**ახმეტა.**

---

წერილი რედაქციას

# ნუ შეურაცხყოფთ მათ ნათელ ხსოვნას!

ახლახან გაზეთ „ცხოვრების" 9 მარტის ნომერში გამოქვეყნდა იმ პირთა სია, რომლებიც აღდგენილნი არიან სკკპ წევრებად. მათ შორის აღმოჩნდა მამაჩემი, 1902 წელს დაბადებული დავით გრიგოლის ძე მხეიძე, რომელიც რეპრესირებულ იქნა 1937 წელს.

იმ ავადმოსახსენებელ წელს ჩვენს ოჯახს ოფიციალურად აცნობეს, რომ მამას 10 წლით გადასახლება მიესაჯა, მიწერ-მოწერის უფლების გარეშე. მოგვიანებით კი შეგვატყობინეს, რომ დავით მხეიძე გადასახლებაში გარდაიცვალა 1942 წლის 7 თებერვალს.

მამაჩემის ფაქტიურ ხვედრს კი სულ ახლახანს აეხადა ფარდა. შესაბამის უწყებაში დაცული აღმოჩნდა დოკუმენტები, რომლითაც გაირკვა, რომ იგი 1937 წლის 29 ოქტომბერს დააპატიმრეს. იმავე წლის 22 დეკემბრით კი დათარიღებულია თანმიმდევრობით შემდეგი დოკუმენტები: 1. ოქმი გამოძიების დამთავრების შესახებ. 2. ცნობა შინსახკომის განსაკუთრებული სამეულისათვის საქმის განსახილველად გადაცემაზე. 3. სამეულის (თავმჯდომარე ქობულოვი) განაჩენი: „დახვრეტა — პირადად მისი კუთვნილი ქონების კონფისკაციით" და 4. აქტი განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ. როგორი შესაშური ოპერატიულობით უმოქმედიათ.

დარწმუნებული ვარ რა იმაში, რომ ამ „საქმეში" მონაწილე ყველი ჩვ... იმ პარტიის ბილეთი ედო ...ში, რომლის წევრადაც აღადგინეს დღეს მამაჩემი, თავს ვალდებულად ვთვლი განვაცხადო შემდეგი: ჩვენი ოჯახისათვის სკკპ რიგებში მამაჩემის აღდგენა არის მორიგი ბოლშევიკური ფარსი და შეურაცხყოფა მისი ხსოვნისა. პარტიას, რომელსაც ნახევარი საუკუნეც არ ეყო საიმისოდ, რომ დაფიქრებულიყო და გაეანალიზებინა თავისი შავბნელი საქმიანობის შედეგები, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ახორციელებდა საკუთარი ხალხის გენოციდს, ვერ უშველის „ბოლო ქამს დანანება". მტკიცედ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ თუ მამა ბოლშევიკური პარტიის მიერ გაწვრთნილ ჯალათებს გადაურჩებოდა, იმასვე გააკეთებდა, რასაც მე, მისი ერთადერთი მემკვიდრე მოვითხოვ დღეს — თუ კი პარტიაში აღდგენა სიკვდილშემდგომაც შეიძლება, ჩავთვალოთ იგი პარტიიდან გასულად ასევე სიკვდილშემდგომ.

მათ კი, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული რეპრესირებულთა ხსოვნისა და მათ გატანჯულ შთამომავალთა ბედზე, უმჯობესია ის გასაიდუმლოებული ადგილები მიგვანიშნონ, სადაც მათი უგვარტომოდ ჩაყრილი ძვლებია დამარხული, რათა ქრისტიანული პატივი მაინც მივაგოთ მათ წმინდა სულებს.

ეგებ ღირდეს ერთ-ერთი მსხვერპლის ნეშთი პატივით დავკრძალოთ და შევქმნათ წმინდა ადგილი „ბოლშევიკთა უცნობი მსხვერპლის" საფლავის სახით.

**ნუგზარ მხეიძე**

---

# გაზეთ „საქართველოს" მკითხველთა საყურადღებოდ!

ვინც შეიძინა გაზეთ „საქართველოს" ბოლო ნომერი (26 მარტი, 1991 წ.) და ჟურნალისტურ ნიჭიერებად ჩაგვითვალა პირველ გვერდზე მოთავსებული უწყინარი ფოტომონტაჟი, ან აღშფოთდა ამ უკანასკნელის გამო, განვუმარტავთ:

1) ბატონ მუხრან მაჭავარიანთან არ შეგვითანხმებია, რომ მის პოპულარულ ლექსს ვბეჭდავდით ზემოთაღნიშნული ფოტომონტაჟის კონტექსტში.

2) სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო გამოგვრჩა ლექსის ბოლოს მიგვენიშნებინა დაწერის თარიღი, რომელსაც მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რამეთუ იგი დაიწერა სწორედ იმ წლებში, როცა სატანა ილიმებოდა და „მუზები" დუმდნენ!" (ლექსი დაიწერა 1975 წელს).

**გაზეთ „საქართველოს" რედაქცია.**

---

# საქართველოს ორთოპედ-ტრავმატოლოგთა ასოციაციის ყრილობა

**ამ** დღეებში გაიმართა საქართველოს ორთოპედ-ტრავმატოლოგთა ასოციაციის პირველი ყრილობა, რომელზედაც მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიური სამსახურის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ გააკეთა აკადემიკოსმა ოთარ ღუდუშაურმა. რესპუბლიკის ორთოპედ-ტრავმატოლოგთა ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ ილაპარაკა საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მერაბ საყვარელიძემ.

ყრილობამ აირჩია ასოციაციის გამგეობა, იურიდიული პირები და საპატიო წევრები.

ასოციაციის საპატიო პრეზიდენტად არჩეულია აკადემიკოსი ოთარ ღუდუშაური, პრეზიდენტად — მერაბ საყვარელიძე, პასუხისმგებელ მდივნად — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი მიქელაძე, საპატიო წევრებად: ცნობილი ამერიკელი ორთოპედი, იელის უნივერსიტეტის პროფესორი კ. კეგი და გერმანელი მეცნიერი ვ. გლინი.

ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს ტრავმატოლოგებს მიეცათ წინადადება თვითონ შეარჩიონ გამგეობის წევრობის თითო კანდიდატი.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია;

საქართველოს ორთოპედ-ტრავმატოლოგთა ასოციაციის ყრილობამ თავის კოლექტიურ წევრად მიიღო ექსპერიმენტალური ქარხანა.

ორთოპედ-ტრავმატოლოგთა ასოციაციის ყრილობამ დაავალა გამგეობას შეიმუშაოს ტრავმატოლოგ-ორთოპედიული სამსახურის სტრუქტურა და მისი შემდგომი განვითარების კონცეფცია. აგრეთვე რესპუბლიკისათვის მისაღები სამხედრო-საველე ქირურგიის კონცეფცია და მასზე დაყრდნობით უზრუნველყოს ეროვნული გვარდიის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია თანამედროვე დონეზე.

საქართველოს ორთოპედ-ტრავმატოლოგთა ასოციაციის II ყრილობა გაიმართება 1991 წლის ივნისში.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ქრონიკა, ინფორმაცია

თუ სათანადო განწყობა გაქვთ

— არაერთი ფაქტია, როცა განუკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანს ყინავენ იმ იმედით, რომ როცა მედიცინა იპოვის ამ სენისგან განკურნების მეთოდს — წამალს, მას კვლავ „გაალღობენ“ და უმკურნალებენ (აშშ-ს ქალაქ ფარმინგდეილში 1972 წლიდან ამ მიზნით ფუნქციონირებს „კლინიკა მიცვალებულთათვის“). საქართველო-ლიტვის ერთობლივმა ფირმამ — „თვალდახუჭულა“ — იმათთვის, ვისთვისაც მიუღებელია დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია და სურს გაეცალოს მას, სთავაზობს „გაქცევის“ მეთოდს გაყინვის გზით. წინასწარი შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ, როცა უფრო „თბილი“ იქნება პოლიტიკური კლიმატი, ფირმა იძლევა გარანტიას, რომ პაციენტ-კლიენტებს ან გააცოცხლებენ ან არა. მომსახურების ღირებულება შეადგენს 50 ათას საბჭოთა მანეთს, ან შესაბამისად 7 ამერიკულ დოლარს.

ფირმის მისამართია: თბილისი, 4073181, ე.კ. ლიგაჩოვის ქ. № 314 ცნობებისათვის დარეკეთ — 33-17-41.

●

დაზუსტებული მონაცემებით 17 მარტს სსრკ რეფერენდუმში, კითხვაზე უნდათ თუ არა განახლებულ სსრკ-ში ცხოვრება, სადაც მათ ყველაფერი თავზე საყრელად ექნებათ — საკვებიც და პოლიტიკური თუ კულტურული უფლებებიც, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოსი მოსახლეობის 102,3 პროცენტმა და აფხაზეთის ასსრ-ს აფხაზი მოსახლეობის 101,4 პროცენტმა დადებითად უპასუხა.

●

საკვებ თუ სამრეწველო პროდუქტებზე ფასების მომატებასთან დაკავშირებით სსრკ მთავრობამ სათანადო კონპენსაცია დააწესა. როგორც საკდესი და პროგრამა „ვრემია“ იუწყება, საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად ამბობს უარს კომპენსაციაზე და მოითხოვს, ეს თანხა მთლიანად გადაირიცხოს წითელი არმიის ანგარიშზე ახალი ტანკებისა და რაკეტების ასაგებად, როგორც ამხანაგმა ლუკიანოვმა განაცხადა, სსრკ პრეზიდენტთან შეთანხმებით, ხალხის ამ მოთხოვნას უზენაესი საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილავენ ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები და ალბათ მას მხარს დაუჭერენ.

●

მოსკოვის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებით „წითელ მოედანზე“ მავზოლეუმის წინ უცნობელი მოყვარული მფრინავებისთვის აშენდება თვითმფრინავის დასაფრენი ზოლი.

●

თბილისში მუხიანის ტერიტორიაზე გაუქმებული კომერციული ბაზრობის ადგილას ყოველ შაბათ-კვირას გაიმართება ჩამოფასებული საქონლით ვაჭრობა. საზღვარგარეთული ფირმები ძირითადად წარმოადგენენ ფრანგულ სუნამოებს, იაპონურ ვიდეო მაგნიტოფონებს, კანადურ „დუბლიონკებს“ და ჰოლანდიურ შაშხს.

●

როგორც ცნობილია, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერ დროში მძარცველი და ბანდიტი მსხვერპლს, თუ ამის საშუალება ჰქონდა, მთლიანად ართმევდა ნაამაგარს. სსრკ პრეზიდენტმა კი ძარცვის ბევრად უფრო ჰუმანური ფორმები მოიგონა, როცა ის მხოლოდ 5 %-ით დაკმაყოფილდა. მადლიერმა საბჭოთა ხალხმა (ძირითადად შუა აზიის რესპუბლიკებში) დიდად დაუფასეს ქველმოქმედება მას და 17 მარტს თითქმის ერთხმად დაუჭირეს მხარი სსრკ-ს ერთიანობას.

**საინფორმაციო სააგენტო მდგ.**

### 1 აპრილის გამოძახილი

## მცხეთელები აღმაშენებლის გზას დაადგნენ

გუშინ, პირველ აპრილს, პირველად ორმოცდაათი წლის განმავლობაში, მცხეთელებმა ზურგი აქციეს იოსებ სტალინს, სახელი შეუცვალეს მისი სახელობის ქუჩას და ამაღლებულნი და გალაღებულნი ახალსახელდებული, ანუ დავით აღმაშენებლის სახელობის გამზირით სვეტიცხოვლის დიდი ტაძრისაკენ გაემართნენ...

ეს ამბავი ზოგს „სტალინის ფენომენის“, „ისევ სტალინის ფენომენის“, „ტურტლიანი სოსოს და ფაქიზი ნიკიტას“ და ადგილობრივი გაზეთის სხვა მსგავსი პუბლიკაციების შედეგი ჰგონია, არადა მიზეზი თურმე სულ სხვა ყოფილა — ქუთათური ჟურნალი „განთიადი“ (1991 წ. № 1), სადაც შავით თეთრზე წერია შემდეგი:

„ჩემი სკოლა, სადაც სწავლა პირველად დავიწყე, დაწყებითი სკოლაა, ოთხწლედი, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს და ერეკლე მეორის სასახლესთან ახლოს მდებარეობს. სკოლაში რომ მივიდე პეტრე დიდის (შემდეგ ტროცკის, ეხლა ძერჟინსკის) ქუჩა უნდა გავიარო, თავისუფლების მოედანი (ამ მოედანს მეფის დროს ერევანსკის მოედანი ერქვა, შემდეგ — თავისუფლების, შემდეგ — „ზაკფედერაციის“, შემდეგ — ლავრენტი ბერიას და ახლა ლენინის) გადავკვეთო და ვერცხლის ქუჩით ჩავიარო, რომ სკოლაში მივიდე“...

დიახ, „დიად სტალინურ ეპოქაში“ ნაწამები ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის **შალვა ხიდაშელის** მოგონებების წიგნის ამ სტრიქონებმა გატეხა მცხეთელი ვეტერანები, სტალინის მიმდევრები, მით უმეტეს, რომ ვიდრე მოგონებას გამოაქვეყნებდა, მოსახდენი მოხდა — თბილის-ქალაქის უპირველეს მოედანს თავისუფლების სახელი დაუბრუნდა, ხოლო ავადსახსენებელი ძერჟინსკის ქუჩას სახელოვანი მამულიშვილის — პავლე ინგოროყვას სახელი ეწოდა...

და, როგორც უკვე ითქვა, გუშინ, პირველ აპრილს, მცხეთელები დაადგნენ დიდი დავით აღმაშენებლის გზას, რომელიც წმიდა ტაძრებისკენ მიმავალ გზაჯვარედინებს ჰქმნის.

**გიო დიდიძე**

### 3, 4. აპრილს თბილისის სახელმწიფო ცირკში

საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია აწყობს საქართველოს ღია ჩემპიონატს მკლავჭიდში (ინვალიდთა შორის). შეჯიბრების სპონსორები არიან საქართველოს ახალგაზრდული კავშირი, პროფკავშირების ნფს საზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო, „ივერთბანკი“, თბილისის სახელმწიფო ცირკი. შეჯიბრების მსვლელობისას გაიმართება აუქციონი, სადაც გაიყიდება იმპორტული ავეჯის გარნიტური, ფერადი ტელევიზორები, მაცივრები და სხვა დეფიციტური საქონელი.

**შეჯიბრების დასაწყისი 10 საათზე, ბილეთები იყიდება ცირკის სალაროებში.**

## ხუთი პროცენტი?!.

თუ თქვენ 1 მარტის შემდეგ მაღაზიაში თუნდაც რაიმე გიყიდიათ, და, ცხადია, გიყიდიათ, გეცოდინებათ, რომ უკლებლივ ყველაფერში ფასზე ზევით 5 პროცენტ წანამატს ახდევინებენ. ფასზე ზევით გაყიდვა რომ გაგვიკვირდეს, ის ხალხი ჩვენ არა ვართ. თუმცა ის კია, რომ აქამდე ფასდამახინჯება, ფორმალურად მაინც, ფარულად ხდებოდა და ხდება. აქ კი? დღისით, მზისით, განურჩევლად ერისა და ფერისა გახდევინებენ ფასზე მეტს? თუ ეს ფასის უბრალო მომატებაა, მაშინ ითქვას ამის შესახებ და გასაგები იქნება — ფასების მიმდინარე და მოსალოდნელ სამჯერად და ათჯერად მომატებასთან 5 პროცენტიანი მატება რაღა სალაპარაკოა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ძაღლის თავი სულ სხვაგანაა დამარხული. ხალხმა ამ პროცენტებს „პრეზიდენტის ბეგარა“ უწოდა და არა ფასის მომატება. მართლაც რომ ბრძენია ხალხი!

მაინც რაშია საქმე? რატომ გვბეგრავს პრეზიდენტი?

საკითხის ისტორია და არსი ასეთია: ამა წლის 31 იანვარს სსრკ მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება გაყიდვიდან გადასახდელის შემოღების შესახებ. ამ გადასახადს დადგენილებით იხდის ის, ვინც რაიმეს აწარმოებს და ჰყიდის. თუ ვინმე რაიმეს 100 მანეთად ჰყიდის, მან უნდა გადაიხადოს 5 მანეთი. დადგენილების ეს არსი ცხოვრებაში დამახინჯებით გატარდა, ხალხის, მყიდველთა საზიანოდ: თუ ვინმე რამეს ჰყიდის 100 მანეთად, ამ თანხიდან კი არ იხდის 5 პროცენტს, არამედ უმატებს გასაყიდ ფასს და ჰყიდის 105 მანეთად. ანუ გადასახადს გამყიდველის ნაცვლად იხდის მყიდველი. ოფიციოზმა ასეთი „ეკონომიკური ტრიუკი“ იმით ახსნა, რომ ყიდვა და გაყიდვა ერთი და იგივე პროცესია. ეს სწორია, მაგრამ მყიდველი და გამყიდველის პოზიციებიც ამ პროცესში ერთნაირია? სახელმწიფოსათვის სულერთია, არა აქვს მნიშვნელობა ვისგან მიიღებს თავის 5 პროცენტს, მაგრამ ჩვენთვის? მყიდველებისთვისაც სულერთია, მყიდველი გადაიხდის მას თუ გამყიდველი?..

ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც სახეზე გვაქვს „სასურსათო გაწერის“ თანამედროვე ტიპი — „ფულადი გაწერა“. დასამშვიდებლად არც ის გამოდგება, რომ ამ „ფულადი გაწერის“ მიღებული თანხის 30 პროცენტი მოსკოვს მიაქვს, 70 პროცენტი კი რესპუბლიკას რჩება სოციალური სამართლიანობის ღონისძიებების გასატარებლად. როგორც არ უნდა „ისოლომონბრძენო“, 100 მანეთს თუ წაგართმევენ და 70-ს დაგიბრუნებენ, ვითომ გაუმჯობესდება რაიმე? გასაგებია, რომ მოსახლეობის ზოგიერთ ფენებს შეიძლება დავეხმაროთ ამ თანხით. ღმერთმა ქნას, მაგრამ...

მაგრამ ეს 5 პროცენტი ხომ მუდმივმოქმედი სოციალური ნაღმია, რომელიც მასებს მთიდან დაგორებული თოვლის გუნდისმაგვარი ზრდის ტემპით დააწვება მხრებზე, როდესაც მოზრდილი ფასები შევა ძალაში. მაშინ როგორი იქნება ამ შეფარდებითი 5 პროცენტის აბსოლუტური შინაარსი? თუ 100 მანეთის 5 პროცენტი 5 მანეთია, 2000 მანეთის 5 პროცენტი ხომ უკვე 10 მანეთი იქნება...

როგორი იქნება ამ ბეგარის სიდიდე, არავინ იცის, ასეთი ღონისძიებების შედეგი კი ცნობილია: ან მაღაზიაში არაფერი იქნება გასაყიდი ან აღარ იქნება მყიდველი.

**მიხეილ ჯიბუტი,**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.**

## „საქართველოს სამეფო ფონდი“ ანუ

### გზა ქრისტიანული სახელმწიფოსაკენ

ა.წ 24 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა „საქართველოს სამეფო ფონდის“ დამფუძნებელი კრება.

ფონდის წესდებით გათვალისწინებულ ამოცანებში შედის საქართველოში მონარქიული წყობის აღორძინებისათვის საჭირო ეკონომიკური ბაზის შექმნა; ეკონომიკის პერსპექტიული დარგების განვითარება; საქველმოქმედო საქმიანობა; სამეფო ბანკის შექმნა; საერთაშორისო მონარქიულ მოძრაობებთან თანამშრომლობა; მონარქიული იდეის პროპაგანდა; მონარქიის თეორიაში ფუნდამენტური საკვლევი სამუშაოების ჩატარება და სხვა. ამ მშრალი ფორმულირების ქვეშ იგულისხმება მთელი სულიერი და ინტელექტუალური სამუშაო, რომლის ერთი ნაბიჯი „საქართველოს სამეფო ფონდის“ დაფუძნებაცაა.

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ მონარქიაზე, მაგრამ ყურადღების გარეშე რჩება ის ფაქტი, რომ მონარქიის იდეაში წამყვანია არა მონარქიული წყობის აღდგენა ძალაუფლების მემკვიდრეობითი გადაცემით, არამედ მთელი სისტემა ფილოსოფიური შეხედულებებისა ადამიანზე, საზოგადოებაზე და სახელმწიფოებრივ მოწყობაზე.

ამ ფილოსოფიური დოქტრინის სათავეებთან იდგნენ ისეთი გენიოსები, როგორებიც იყვნენ პლატონი და ნეტარი ავგუსტინი. ეს დოქტრინა, რომელზედაც ჩვენ ვფიქრობთ სერიოზული სამუშაოს ჩატარებას, მოიცავს შეხედულებების მთელ კომპლექსს, რომელიც დაფუძნებულია რელიგიურ, ფილოსოფიურ, ისტორიოგრაფიულ, პედაგოგიურ და სხვა ცოდნაზე.

პირველ რიგში, მონარქიული იდეა ეს არის ცოდნა სრულყოფილ ადამიანზე და მის ადგილზე სრულყოფილ საზოგადოებაში, იმ მსოფლიო წესრიგზე, რომელიც მართავს ცასა და მიწას, საზოგადოებას და ადამიანს.

ჩვენ მონარქისტები ვართ არა ამ სიტყვის პოლიტიკური არსით, არამედ აზროვნებით: ჩვენ ვიცით, რომ სამყარო რთულია და არაერთგვაროვანი; სამყაროში, ისევე როგორც ადამიანთა საზოგადოებაში, თანასწორობა კი არ არის, არამედ ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და შემოქმედებითი შესაძლებლობის განსხვავებაა, რაც ბუნებრივად იწვევს იერარქიული კიბის წარმოქმნას.

ამ აზრის უგულებელყოფით მივკალთ მცდარ შეხედულებამდე, რომლის მიხედვითაც ჭკვიანი და ბრიყვი, გენიოსი და საშუალო ნიჭის მქონე ადამიანი თანასწორია. ამით ჩვენ მოვუსპობთ ადამიანებს განვითარების საშუალებას.

მონარქიის თეორია გვარწმუნებს, რომ ყველა განვითარებულ გარემოში უნდა არსებობდეს ელიტა — საზოგადოების სახე, მიბაძვის მაგალითი და პატივისცემის ობიექტი. რაც უფრო მაღალი დონისაა ელიტა, მით უფრო დიდია მიზანი, რომლისკენაც მიდის საზოგადოება, მით მძლავრია იმპულსი საერთო დონის ამაღლებისაკენ. ელიტარულობა ამ სიტყვის სწორი გაგებით არ ენიჭებათ, არ ენიშნებათ ადამიანებს; ესაა განვითარების დონე; გონების, გულისა და სულის მდგომარეობა; ესაა შრომა და ღვთიური ნიჭი!

ამიტომ ელიტა წარმოიქმნება შერჩევის პროცესში, სწორი აღზრდისა და საკუთარ თავზე მუშაობის გზით — ასეთია თანამედროვე მონარქიული მსოფლმხედველობის აზრი. ჩვენც გადავწყვიტეთ მონარქიზმის აღორძინების პრობლემას შევხედოთ არა პოლიტიკური კუთხით, არამედ მონარქიზმის კუთხით განვითარებული პედაგოგიკით!

ფონდის წესდებაში ერთ-ერთ რიგით პუნქტად მოხსენებულია „სამეფო კოლეჯის“ დაარსება, რომელიც ამოსავალი წერტილია მთელი ჩვენი საქმის.

შევეცადოთ, წარმოვიდგინოთ, როგორი იქნება ეს კოლეჯი: ეს არ იქნება სკოლა, თუნდაც ამ სიტყვის საუკეთესო „დასავლური“ გაგებით — სკოლა ამზადებს სპეციალისტებს. ეს იქნება მომავალი ელიტის აღზრდის ადგილი. აქ მიღებული განათლება გახდის მოსწავლეს ელიტის წარმომადგენლად, მიუხედავად მისი სოციალური წარმოშობისა. არა მარტო მაღალი დონე, არამედ განათლების დიაპაზონიც უნდა იყოს მაქსიმალურად ფართო. ბავშვები ისწავლიან ენებს, ზუსტ მეცნიერებებს, ხელოვნების დარგებს, ფილოსოფიას, სიმბოლიკას, თეოლოგიას, სხეულის და იარაღის ფლობას, ცეკვას, ეტიკეტს. კოლეჯი იქნება დახურული სასწავლებელი თავისი ავტონომიური დასახლებით. ბავშვების შერჩევა მოხდება ტესტების რთული სისტემით. მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი შექმნიან იმ წრეს, რომელსაც დაეკისრება საზოგადოების განვითარების მისია. მათი განათლება სულიერად იქნება შუა საუკუნეების რაინდული რომანტიზმისა და თანამედროვე რაციონალიზაციის შერწყმა.

მხოლოდ იმ ერმა, რომელსაც ასეთი ელიტა ჰყავს, შეიძლება ჩამოაყალიბოს ქრისტიანული სახელმწიფო, სადაც გონება და ნიჭი, ნამუსი და სულიერება ყველაფერზე უმაღლესია!

ვიცით რამდენი სიძნელე და დაბრკოლება იქნება გადასალახი. მაინც გვწამს, რომ ამ წამოწყებაში ღირსეული ადამიანები ჩვენს გვერდით იქნებიან და ჩვენ შევძლებთ ოცნების რეალობად ქცევას.

შეგვეწიოს უფალი ამ კეთილ საქმეში!

**ლევან კილაძე,**
**საქ. სამეფო ფონდის გამგეობის წევრი.**

## „არგუმენტი ი ფაკტის“ მე-9 გვერდი

თქვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა მკითხველის წერილი: მოდით, მოვაგროვოთ მთელი ვალუტა და ჭკვიანი მთავრობა ვიყიდოთ.

მარგარეტ ტეტჩერი თავისუფალია! მოდით, მოვუხმოთ მას, როგორც ჩვენი წინაპრები ვარიაგებს უხმობდნენ. და თუ ის მართლა დესპოტია, არა უშავს, ჭკვიანი მაინც არის — დესპოტიზმის შეჩვევა კი ჩვენ არ დაგვჭირდება.

**ნ.მ., დონის როსტოვი**

1990 წლის 6 ნოემბერს გორბაჩოვს გავუგზავნე დეპეშა შეტყობინებით. მივიღე პასუხი, რომლითაც გავიგე, რომ დეპეშა 7 ნოემბერს, 11 საათსა და 40 წუთზე გადაუციათ. მაგრამ გორბაჩოვი ამ დროს ტრიბუნაზე იდგა.

**ქ. ზ., ოდესა**

იმის გამო, რომ ეროვნული ხსნის კომიტეტს არ მოეწონა ლიტვის ტელევიზიის გადაცემები, მისი თხოვნით სსრკ შეიარაღებულმა ძალებმა ტელეცენტრი დაიკავეს, მინდა იმავე შეიარაღებულ ძალებს ოსტანკინოს ტელეცენტრის დაკავებაც ვთხოვო. მე არ მომწონს წელს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ვაშუქება: გააუქმეს პროგრამა „ვზგლიადი“, პროგრამა „ვრემია“ მოვლენებს მხოლოდ ცალმხრივად აშუქებს...

**ვ. კ., ნეფტეკამსკი**

ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის. „კომუნისტები სანგრებიდან უნდა გამოვიდნენ!“ კი მაგრამ ვის დაემალნენ იქ? ან როგორ აპირებენ გამოსვლას: იარაღით თუ აწეული ხელებით?

**ლ. მ., ვოლგის ოლქი**

ვაჭრობა სექსუალური გახდა: მომხმარებელს შიშველ დახლებს უჩვენებენ.

**ო.ბ. ვოლგოგრადი**

**„არგუმენტი ი ფაკტი“, № 12, 1991 წ.**

# ხმას ვაძლევთ საქართველოს თავისუფლებას









**ამიერიდან 1991 წლის 31 მარტი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელი იქნება, დღე, როცა ქართველ ხალხს მიეცა საშუალება გულწრფელად ეთქვა, რომ საქართველომ დაკარგული თავისუფლება, დამოუკიდებლობა უნდა დაიბრუნოს. ამ დღეს მოეწყო რეფერენდუმი და რესპუბლიკის მთელმა მოსახლეობამ თავიანთი შეხედულებისამებრ უპასუხა მხოლოდ ერთ კითხვას — უნდათ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.**

**პარალელურად ჩატარდა საკრებულოების არჩევნები. ასეთი ერთსულოვნებით წარსულში ალბათ, სხვა დიდი კამპანია არც ჩატარებულა. ამიტომაც იყო ხალხმრავლობა იმ დღეს ყველა საარჩევნო უბანში. ჩვენ კი რამდენიმეს ვეწვიეთ.**

დილის 10 საათია. თბილისის 115-ე საშუალო სკოლის შენობაში მოთავსებულ საარჩევნო უბანში ტევა აღარაა. აქ წინასწარი მონაცემებით 3700 კაცი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, — გვითხრა საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარემ **ცეზარ ქაშაკაშვილმა** — 3700 კაცში ოცზე მეტი ეროვნების ადამიანია. ამდენად, რაიმე პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. თუმცა, გამარჯვების რწმენა ძალიან დიდი გვაქვს.

კომისიის თავმჯდომარის ოთახში არ წყდება ამომრჩეველთა ნაკადი. მთხოვნელთა სურვილები მრავალგვარია, ზოგი ავადმყოფი მშობლების დავალებით მოდის. მათ თხოვნას უმალ აკმაყოფილებენ, საგულდაგულოდ დგება ავადმყოფ ამომრჩეველთა სია. სხვები დაჟინებით ითხოვენ ახლობლების ნაცვლად ხმის მიცემის უფლებას, რაც კანონით აკრძალულია. ამას თვალსაჩინო ადგილზე გაკრული წარწერაც იტყობინება — „არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის პირები, ვინც საარჩევნო უბანში გამოცხადდებიან."

ერთი ხანშიშესული მამაკაცი თხოვნით შემოვიდა — ჩემი შვილი მილიციელია, ცხინვალშია და იქნებ მის მაგივრად ხმა მიმაცემინოთ. მოქალაქეს აუხსნეს, რომ მსგავსი შემთხვევებისთვის საარჩევნო უბნები სამხრეთ ოსეთშიცაა მოწყობილი.

**ამომრჩეველი:** 8 თვეა მძიმე ოპერაციის შემდეგ გარეთ არ გამოვსულვარ. დღეს ღმერთმა ძალა შთამბერა და აქ მოსვლა შემაძლებინა. ჩემი ხმაც უნდა შევუერთო ათასობით ქართველის ხმას.

**ამომრჩეველი:** ჩემს გვარს ნუ ჩასწერთ, ქურთი ვარ, აქ დაბადებული, თბილისელი ქურთი. მეც ისე მინდა იყოს, როგორც ჩემს მეზობელ ჩემს საყვარელ ქართველებს უნდათ.

**ამომრჩეველი:** მიუხედავად იმისა, რომ აქ ამ უბანში დღეს ბევრი რუსი, ქურთი, უკრაინელი, ოსი, სომეხი მოვიდა ხმის მისაცემად, მჯერა, ცალკეული გამონაკლისის გარდა, მხარს ჩვენ დაგვიჭერენ. მჯერა, რომ გავიმარჯვებთ.

**ამომრჩეველი:** ჩემი განწყობილებაც აბსოლუტურად ოპტიმისტურია — არ დავმარცხდებით.

თითქმის ყველა ამ განწყობილებით მოდიოდა, თუმცა მუხიანის დასახლების 55-ე საარჩევნო ოლქის 35-ე უბანში ერთი ატირებული ქალბატონი შევნიშნე. მიზეზი ვკითხე. ამ საარჩევნო უბნის ზედამხედველი აღმოჩნდა. ახლახან ხანში შესული რუსი ეროვნების მოხუცი ცოლ-ქმარი მოვიდა ურნასთან. სხვათა შორის, არავინ მალავს სარეფერენდუმო ფურცელს. ყველას გარკვევით ვხედავ, „დიახ" აქვთ შემოხაზული. ამ წყვილმა „არა" შემოხაზა და ამიტომაც ავფორიაქდი, თავი ველარ შევიკავე. თქმით კი რა უნდა ვუთხრა, რა უფლება მაქვსო.

**სალომე ნაკაიძე:** 35-ე საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

დღეს ისეთი სულისკვეთებით მოდის ყველა, რომ განმიმტკიცდა იმედი — ვიცი, ჩვენ, ჩვენი შვილები თავისუფალ საქართველოში ვიცხოვრებთ. ვისურვებ, ეს ნანატრი თავისუფლება რაც შეიძლება, მალე დადგეს, რათა ჩვენმა უფროსმა თაობამ, რომელმაც ტანჯვით, შრომით მოაღწია დღემდე, განიცადოს ამ დღით გამოწვეული ბედნიერება.

გლდანის და მუხიანის დასახლება იმდენად სპეციფიურია, რომ თუკი რომელიმე ერის წარმომადგენელი ცხოვრობს საქართველოში, ყველა აქაა თავმოყრილი. რეფერენდუმმა არაქართული მოსახლეობა საოცრად გამოაფხიზლა.

საარჩევნო ცომისიას თხოვნით მიმართა ორმა ახალგაზრდამ, 16 წლისანი ვართ, დღეს-ხვალ საშუალო სკოლას ვამთავრებთ, ჩვენც გვინდა ხმა მივცეთ, ჩვენც დამოუკიდებლობის მომხრენი ვართო. მსგავსი შემთხვევები არაერთ საარჩევნო უბანში იყო, მაგრამ სამწუხაროდ კანონით მხოლოდ 18 წელია საკმარისი არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის მისაღებად.

**ამომრჩეველი:** თვეზე მეტია რესპუბლიკიდან სამსახურეობრივი მივლინებით გასული ვარ. გუშინ სპეციალურად ჩამოვედი რეფერენდუმში მონაწილეობის მისაღებად. ხვალ დილით კი ისევ უკან უნდა დავბრუნდე.

**ამომრჩეველი:** მე აქ დავიბადე, გავიზარდე. აქაა ჩემი მშობლების საფლავი. მეც ქართულ მიწაზე უნდა დავიმარხო. აბა, მითხარით, სამშობლო სხვა რამეა კიდევ? მე არ მეგულება არც ერთი თბილისელი სომეხი, რომელიც დღეს ქართველების გვერდით არ დადგება.

**ამომრჩეველი:** დღეს რუსეთიც იგივე პრობლემითაა შეწუხებული. დამოუკიდებლობა რომელიმე ერთი რესპუბლიკის სურვილი ხომ არაა. ამას ესწრაფვის ყველა, თვით რუსეთიც. განა რუსეთი მარტო გორბაჩოვია? ამიტომ, დამოუკიდებელი ჯერ საქართველო გახდება, მერე მოლდოვა, ლიტვა და ა.შ. თავისუფლება ყველამ უნდა მოიპოვოს, ამიტომ განურჩევლად ეროვნებისა დღეს ყველა ქართველების გვერდით უნდა დავდგეთ. ეს უნდა ამოძრავებდეს ყველა ჩემსავით აქ მოსულ რუსი ეროვნების წარმომადგენელს.

ზაჰესის სადაბო ტერიტორიაზე განლაგებულ 5 საარჩევნო უბანში ხმა მისცა 3600-ზე მეტმა ამომრჩეველმა. აქ ქართველების გვერდით ბერძნებმა, ოსებმა, რუსებმა, სომხებმა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა მისცეს ხმა საქართველოს თავისუფლებას. აქაც, როგორც ყველგან, იყო ის სულისკვეთება, რაც ასე აუცილებელია საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის.

●

„მზრუნველობით მოვეკიდოთ მიწას, მის წიაღს, ტბებსა და მდინარეებს, მცენარეებსა და ცხოველთა სამყაროს". გორბაჩოვი. — ეს წარწერა ბაზალეთის ტბის გადასახვევთან ვნახეთ, იმედი გვაქვს, შემთხვევით შემორჩენილი — საბჭოთის პრეზიდენტს ყველაფერი ჩამოუთვლია, ყველაფერი მიუჩნევია ზრუნვის საგნად — ადამიანის გარდა. იმ ადამიანისა, რომელიც 70 წელი... როგორ იყო, აღარ შეგახსენებთ, ჩვენცა და თქვენც გვახსოვს კი არა, დღესაც ვგრძნობთ მის შედეგებს. მაგრამ აღარ გვინდა უამური წარსულის გახსენება იმიტომ, რომ...დღეს 31 მარტია.

ამ დღეს გარეგნულად უჩვეულო არაფერი ეტყობოდა — მზე ხან ანათებდა, ხან — არა, საყიდლებზე რიგი ისევ იდგა, ფეხით თუ მანქანით მოსიარულეები წესრიგს ისევ არღვევდნენ.

ოღონდ: ბოლშევიკურად არ გვინდა გამოგვივიდეს, მაგრამ მაინც ვიტყვით: განწყობილება არასაბჭოურად საზეიმო იყო.

დუშეთის რაიონის № 27 ტერიტორიულ საარჩევნო უბანში დილის 11 საათისათვის 24 269 ამომრჩევლიდან (არასრული ციფრია) თითქმის ნახევარს ბიულეტენი ჩაყრილი ჰქონდა, შატილში დილის 10 საათისათვის 200 ამომრჩევლიდან 85 უკვე ნამყოფი იყო საარჩევნო ყუთთან. სოფელ ჟონქაძეში ამავე დროისათვის 1612 კაციდან 386 ჰქონდა ხმა მიცემული.. ამ ციფრებით არ გადმოიცემა ის განწყობილება, როგორიც ხალხს ჰქონდა. თითქოს (და ასეც არის) საქართველოსთვის უდიდეს საპასუხისმგებლო ნაბიჯს დგამდნენ. თითქოს (და ალბათ, ასეც არის) არც არასოდეს წაკინკლავებულან. ერთად მოდიოდნენ ოჯახები, მეზობლები, უბნები, ქუჩები, ლამაზად ჩაცმულ-დახურულნი, ღიმილითა და რიხით. (არ მოგეჩვენოთ ეს სიტყვები ეპითეტებად და მეტაფორებად — მართლა ასე იყო).

ყინვალის № 2 საარჩევნო უბანში 2774 ამომრჩევლიდან 12.30 საათისათვის 1000-ზე მეტი ხმა იყო ჩაგდებული ყუთში. უბნის უფროსმა **ელისო პინჯარაულმა** გვითხრა, დილის 7 საათიდან მოდიან და მოდიან ქართველები, რუსები, ბერძნები, დამოუკიდებლობას ერთნაირად მოწყურებულნიო.

თბილისიდან ყინვალამდე გზა უცხოელი დამკვირვებლების „დევნაში" გავიარეთ. დილის 8 საათიდან გავიდნენ უცხოელი სტუმრები საარჩევნო უბნებში, მცხეთა-დუშეთის მიმართულებით მოლდაველები, ამერიკელი, გერმანელი, მექსიკელი, ლიტველი და ეგვიპტელი დამკვირვებლები წავიდნენ. მაგრამ ვერც ერთი ვერ ვნახეთ იმიტომ, რომ მცხეთიდან პირდაპირ ყაზბეგს გაემართნენ. ჩვენ ისევ სასტუმრო „მეტეხში" მოვბრუნდით და ერთი საათით შინ მობრუნებული ბატონი **ჯეიმს ჰაჩისონი** „დავიჭირეთ". იგი ამერიკის კონგრესთან არსებული ჰელსინკის კომისიის აპარატში მუშაობს, თბილისში რეფერენდუმზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოწვევით ჩამოვიდა.

**— მე ვიყავი თბილისის ახლომდებარე სოფლებში, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აზერბაიჯანელია** (იგულისხმება დმანისი და მარნეული) **— გვითხრა ბატონმა ჰაჩისონმა — გამაკვირვა არჩევნებში მონაწილეთა აქტიურობამ. რა თქმა უნდა, ეს არჩევნები პრობლემების გარეშე არ იყო... უბნებში უამრავი ხალხი მოდიოდა და ყველაფრის კონტროლი შეუძლებელი იყო, მაგრამ საარჩევნო კომისიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რეფერენდუმისა და არჩევნების მოსამზადებელი პერიოდი საკმაოდ კარგად ჩატარდა.**

უნდა ვთქვა, რეფერენდუმზე ყოველგვარი წინასწარი ინფორმაციის უქონლად ჩამოვედი., მაგრამ რაც იმ სოფლებში ვნახე, ჩვეულებრივად მივიღე. **ხალხი თავის ნებას გამოხატავდა. მართალია, ცოტა ემოციურად, მაგრამ მართლად.**

**ახლა თბილისის უბნები უნდა ჩამოვიარო... თქვენს ქალაქში კი დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდი კიდევ ერთხელ, ოღონდ არასამუშაო ვიზიტით.**

ქართული, ჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობა მაინც ვერ მოვიშალეთ და ბატონი ჰაჩისონი მალე დამოუკიდებელ საქართველოში მოვიწვიეთ.

●

აფხაზეთში 13 კაციანი ჯგუფი წავიდა: ბელგიელები, ფრანგი, იაპონელი, ჩინელი, სირიელი, ერაყელი და გერმანელი დამკვირვებლები; სამაჩაბლოში — ლატვიელები, ლიტველები, უნგრელი, პოლონელი, ლენინგრადელი, ესპანელი. სტუმრები გაამგზავრეს, აჭარაში — სომეხი და ინდოელი, მესხეთ-ჯავახეთში — ინგლისელი, სომეხი, მოსკოველი, ბორჯომში — ფინელები, დასავლეთ საქართველოში — ამერიკელი და ესტონელი დამკვირვებლები.

მოწვეული სტუმრები და ჟურნალისტები წავიდნენ იქ, სადაც თვითონ მოისურვეს.















საღამოს 8 საათზე უბანში მივედი ხმის მისაცემად — კრწანისის რაიონის № 4 საარჩევნო უბანში.

ხალხი ირეოდა... ხომ იცით, რა მრავალეროვანი რაიონია. **მანანა ჩიხლაძემ**, უბნის უფროსმა გვითხრა — სხვა ეროვნების ამომრჩევლები ;მე მგონი, უფრო დიდი სიხარულით მოდიანო.

ვინ-ვინ და საქართველოში მცხოვრებმა სხვა ეროვნების ადამიანებმა უნდა იცოდნენ, როგორ იცის მოყვრის მიღება და სიყვარული ქართველმა.

ბიულეტენი ჩავუშვი ყუთში... და ახლაღა გამახსენდა პარიზიდან მიღებული წერილი, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რომ გადმომცეს:

**ღრმად პატივცემულო ბატონო ზვიად!**

უპირველესად გილოცავთ იმ წარმატებებს, რომელსაც თანმიმდევრულად ახორციელებს ქართველი ხალხი თქვენი ხელმძღვანელობით.

მაქვს დიდი თხოვნა თქვენთან, მიმაღებინოთ მონაწილეობა რეფერენდუმში.

მე ამჟამად მაქვს საბუთი, რომლის ძალითაც უახლოეს ხანში, 68 წლის შემდეგ, ვბრუნდები მუდმივ საცხოვრებლად ჩემს სამშობლოში.

მე, სრულიად ახალგაზრდამ, გავიცადე საქართველოს დამოუკიდებლობით გამოწვეული ბედნიერება ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისს, ვინაიდგანაც შესაძლებელია მეორედ მოვესწრო საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას. ნუ მეტყვით უარს ჩემს თხოვნაზე, მივიღო რეფერენდუმში მონაწილეობა.

თანახმა ვარ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იმ აქტის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოს.

**პატივისცემით სიმონ კეკელიძე.**
**პარიზი, ლევილი.**

**რეპორტაჟი მოამზადეს:**
**ნინო კვაჭანტირაძემ და**
**მაია ჭალაგანიძემ.**
**1991 წლის 31 მარტი.**

**ოლეგ გველესიანისა და ზაზა ზვიადაძის ფოტოები.**

**P. S. ბევრ საარჩევნო უბანში ამომრჩევლებმა გვთხოვეს დაბადების დღე მივულოცა ბატონ ზვიად გამსახურდიასათვის. თხოვნას სიამოვნებით ვასრულებთ და ამომრჩევლებთან ერთად, საქართველოში მცხოვრებ ყველა კეთილი ნების ადამიანთან ერთად, რედაქციაც გულწრფელად ულოცავს ბატონ ზვიადს დაბადების დღეს. ყველაზე დიდი, რაც შეგვიძლია მას ვუსურვოთ, ესაა თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო.**

---

**დეპეშა ნომერში**

**მხარს ვუჭერ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის საფუძველზე.**

**ელცინის რუსეთის მოქალაქე მიხეილ სამხარაძე.**
**ნიჟნი ნოვგოროდი.**







## სხვა გაზეთებიდან

### სახალხო ფრონტი ამხელს

აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა გამოაქვეყნა 17 მარტის სსრკ რეფერენდუმის შედეგების საკუთარი მონაცემები, რომლებიც ძალზედ სცილდება ოფიციალურ მონაცემებს. ასე მაგალითად, თუ რესპუბლიკური კომისიის ცნობით რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 74%-მა, სახალხო ფრონტის მონაცემებით ის 15%-ზე მეტი არ ყოფილა.

### კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ

ესტონეთი, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის პირველი დაიწყებს საკუთარი ვალუტის გამოშვებას („კომსომოლსკაია პრავდა", № 70, 1991 წ.). მას დაბეჭდავს ამერიკული ფირმა, რომლის პრეზიდენტმაც განაცხადა, რომ პირველ კუპიურებს უკვე წელს ჩაუშვებენ ბრუნვაში. აი, რას ამბობს ესტონელი ეკონომისტი, სსრკ სახალხო დეპუტატი ტიიტ მადე:

— ბანკნოტების ბეჭდვა ესტონეთს დაახლოებით 2,6 მილიონი დოლარი დაუჯდება. რამდენ კრონს ჩავუშვებთ ბრუნვაში, ჯერ არ არის ცნობილი, ვფიქრობთ, კრონები ჯერ ვალუტის მაღაზიებისათვის გამოვუშვათ, სადაც უცხოელები მტკიცე კურსით გადაცვლიან თავიანთ ვალუტას. კრონები მანეთებზე გაიცვლება, მანეთები კრონებზე კი — არა, რადგან საბჭოთა ვალუტა არაკონვერტირებულია. ვფიქრობ, მოსკოვი ყველანაირად შეეწინააღმდეგება კრონს, რადგან საკუთარი ვალუტა კიდევ ერთი ნაბიჯია დამოუკიდებლობისაკენ.

### რა ღირს ნათურა ილიჩის ქალაქში?

სულ 20 კაპიკი, ოღონდ... გადამწვარი ნათურა. დიახ, სწორედ ასეთი „საქონლით" ვაჭრობს ლენინგრადში, სადგურ „პიონერსკაიას" მახლობლად თვითმოქმედი კომერსანტი. ილიჩის ქალაქის ელექტრომაღაზიებში კი ნათურებს სანთლითაც ვერ იპოვნი („მეგაპოლის ექსპრესი" № 11, 1991 წ.)

### დაღესტანში სადამ ჰუსეინი... დაიბადა

დაღესტნის მთიან სოფელ ცურიბში 67 წლის მუჰამედ ჰასანოვს შეეძინა მეექვსე ვაჟი, რომელსაც მან არც მეტი, არც ნაკლები, სადამ ჰუსეინი დაარქვა („მეგაპოლის ექსპრესი" № 11, 1991 წ.), დიახ, ბედნიერმა მამამ თავის პირმშოს სისხლიანი დიქტატორის მარტო სახელი კი არა, გვარიც „დაანათლა". თვითონ ჰასანოვი საკუთარ გადაწყვეტილებას ასე ხსნის: „მიყვარს ვაჟკაცური, ძლიერი და სამართლიანი ადამიანები". ასე რომ, მიუხედავად ჰუსეინის პოლიტიკის კრახისა, მისი სახელი და გვარი, როგორც ჩანს საუკუნეებს გადასწვდება.

### გადამდგარი „რკინის ლედის" პრობლემები

გადამდგარი მარგარეტ ტეტჩერი — როგორია იგი? სწორედ ამ კითხვაზე ცდილობს პასუხის გაცემას „ხედელის" (№ 10, 1991 წ.) კორესპონდენტი, რომლის თქმითაც გადამდგარ მარგარეტ ტეტჩერს ყველაზე მეტად ერთი კითხვა აწუხებს: როგორ შეეგუოს ახალ ცხოვრებას საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში გატარებული ამდენი წლის შემდეგ? ერთი მსხვილი ბრიტანელი ბიზნესმენის ნაამბობიდან ვიგებთ, რომ რონალდ რეიგანმა, რომელიც თავის 80 წლისთავზე ინახულა ძველმა მეგობარმა და იმ დროისათვის უკვე გადამდგარმა პრემიერმა ტეჩერმა, ვითომდა, ასეთი პასუხი გასცა ტეტჩერის კითხვას: „პირველი წელია ძნელი, მერე შეეჩვევი..."

### წინ სასამართლოა

მაგრამ ამას მსჯავრდადებული ოლგა რიეკოვასათვის სულაც არ შეუშლია ხელი... ქორწინებაში.

რიეკოვას სახელი ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც 24 იანვარს ტალინში იპოვეს ორი შვედი მამაკაცის, პროფკავშირული ლიდერების გვამები. ოლგას კავშირი აქვს მათ სიკვდილთან.

რიეკოვას ქმარი გახდა... შვედი ქვეშევრდომი, ტელეკომპანიის ინჟინერი ვინმე მაიკლ ლუნდგრენი. მათი ქორწინების საბუთები ტრაგიკულ მოვლენამდე, ერთი კვირით ადრე იყო მზად.

ტალინის მმართის ბიუროს თანამშრომლებს საგამოძიებო ციხეში მოუხდათ ქორწინების რეგისტრაცია. რეგისტრაციის შემდეგ, რომელსაც დიდი დრო არ დასჭირვებია, ახლადდაქორწინებულებს 40 წუთი მისცეს... საუბრისათვის. შემდგომ კი „ახალგამომცხვარი" ქალბატონი ლუნგრენი გამოეთხოვა ქორწინების ბეჭედს — წინ სასამართლოა...

### ეგვიპტელი ფარაონები „იცნობდნენ"... შიდსს

კიევის „რაბოჩაია გაზეტას" ცნობით, ბრიტანელი მეცნიერები, რომლებიც ეგვიპტელი ფარაონების მუმიებს იკვლევდნენ, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბევრი მათგანი სიცოცხლეში შიდსით იყო დაავადებული, დადგინდა, აგრეთვე, რომ აფრიკულ მაიმუნებს შიდსი ჯერ კიდევ ათასი წლის წინათ სჭირდათ. როგორც გაირკვა დიდ ბრიტანეთში ერთი ადამიანი 1959 წელს, ვირუსის რეგისტრაციამდე 23 წლით ადრე, გარდაიცვალა შიდსით. ყველა კლინიკური მონაცემით ამ „XX საუკუნის შავი ჭირით" გარდაიცვალა სახელგანთქმული ფრანგი მსახიობი ჟერარ ფილიპიც. („არგუმენტი ი ფაქტი", № 12, 1991 წ.).

### იარსებებს თუ არა იტალია 200 წლის შემდეგ

ამ კითხვაზე იტალიის მოსახლეობის პრობლემების შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი ორჭოფულად პასუხობს. მისი თქმით, 5 წლის შემდეგ აპენინებზე ბევრად მეტი ხანდაზმული ადამიანი იქნება, ვინემ ახალგაზრდა („რაბოჩაია ტრიბუნა" № 59, 1991 წ.). ხოლო 200 წლის შემდეგ, შობადობის დღევანდელი ტემპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იტალია, როგორც ხალხი, შეიძლება გაქრეს კიდეც.

### პოლ მაკარტნი და მძვინვარე ფერმერები

„ფაშისტი", „სატანისტი" ასე და ვინ იცის, კიდევ რა სიტყვებით არ „ნათლავენ" ბრიტანელი ფერმერები პოლ მაკარტნის („კომსომოლსკაია პრავდა" № 68, 1991 წ.) მისი სახლის გარშემო კი მუდმივად დგანან მოპიკეტეები. ყოველივე ამის მიზეზი ისაა, რომ მაკარტნი და მისი მეუღლე ლინდა მტკიცე ვეგეტარიანელები არიან და აქტიურ პროპაგანდას ეწევიან ცხოველების დასაცავად. ფერმერების ესოდენი გამძვინვარება იმით დასტურია, რომ მაკარტნის პროპაგანდა მიზანს აღწევს.

### ლაზერმა ბორმანქანა შეცვალა

ამიერიდან ბორმანქანა სამუდამოდ გაქრება გერმანელი კბილის ექიმების კაბინეტებიდან („ტრუდი", № 68, 1991 წ.) მას შეცვლის უხმაურო და უმტკივნეულო ლაზერი. ეს განაცხადეს ახალი ტექნიკის გამომგონებლებმა — ულმის უნივერსიტეტთან არსებული ლაზერული სამედიცინო ტექნოლოგიის ინსტიტუტისა და ულმის კბილის ექიმების პოლიკლინიკის თანამშრომლებმა. ისინი კბილის კარიესის წინააღმდეგ სინათლის იმპულსებს იყენებენ, რასაც მექანიკურ საშუალებებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს, კერძოდ, არ იწვევს საღი კბილების დაზიანებას. კარიესის გარდა, ლაზერი გამოიყენება კბილის ბევრი სხვა დაავადების დროსაც.

### საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო — ალენ დელონს

პოპულარულ ფრანგ მსახიობს, პროდიუსერს, საქმიან კაცს, კოლექციონერს ალენ დელონს მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობისათვის ახლახან გადაეცა საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — საპატიო ლეგიონის ორდენი („სოვეტსკაია კულტურა").

ორდენის გადაცემისას ელისეის სასახლის თაღებქვეშ საზეიმოდ გაისმა საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის სიტყვები: „თქვენს გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი კინემატოგრაფი, ფრანგული კულტურა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სულიერ ტკივილს შეგიმსუბუქებთ...



ჩვენი მოსკოველი თანამემამულე, ქალბატონი **მერი კალანდია** პირველად ტელეფონით დაგვიკავშირდა. რამდენიმე თვეში კი გვაცნობა, საქართველოში ჩამოვდივარო...

საქართველოს ღვთისშვილთა კავშირს (ინვალიდთა ასოციაციას) ასეთი ძვირფასი სტუმარი ბევრი არ ჰყოლია. ჩვენს წინაშე იყო კეთილშობილი და საოცრად სათნო ქართველი ქალი...

ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, ხანძარში რომ მოხვდა. მრავალი ოპერაციებისა და სამი წლის უმოძრაობის შემდეგ შეძლო ფეხზე დადგომა, მაგრამ, ისევ უმუხთლა ბედმა და, ამჯერად, ავტოკატასტროფამ მიაჯაჭვა საწოლს. შედეგი — მარჯვენა ფეხის ამპუტაცია...

19 უმძიმესი წელიწადი გაატარა ოთხკედელშუა. ამაო იყო მეუღლის ცდა — არ ეგრძნო ქალბატონ მერის მარტოობა... ის მაინც მარტო იყო, თუმცა პატარა მამას (მარიამის) აღზრდა ხშირად ავიწყებდა ყველაფერს...

მაგრამ მოულოდნელად, საქმე სასიკეთოდ შემობრუნდა... ვალენტინ დიკულთან საუბრის შემდეგ გადაწყდა — უნდა ემუშავა, ერბინა, შებრძოლებოდა ავადმყოფობას, ისევ ფეხზე რომ დამდგარიყო. ქალბატონ მერის უკვე აღარც ახსოვდა, თუ როდესმე დადიოდა, თითქოს ეს საშინელი მძიმე და მოუხერხებელი პროტეზები დაბადებიდან შეზრდებოდა.

...ამერიკაში ერთი ინვალიდი ცხოვრობდა, რომელმაც სიკვდილის წინ 80 მილიონი დოლარი დატოვა ყველაზე გაჭირვებული ინვალიდისათვის. მასვე ეკუთვნოდა ამერიკაში სპორტული კლუბის „ახილეს ტრეკ კლუბის" შექმნის იდეა, რომელსაც შემდეგ სული შთაბერა 47 წლის ამერიკელმა ინვალიდმა მილიონერმა ბატონმა რიჩარდ ტრაუმმა (მას გაკეთებული აქვს მარჯვენა ფეხის ამპუტაცია). ეს კლუბი უკვე 20 წელია არსებობს და, რაღა თქმა უნდა, მრავალი კეთილშობილური საქმის წამომწყები და ინიციატორია.

1990 წლის 4 ნოემბერს კი ერთ-ერთი გრანდიოზული საერთაშორისო მარათონიც გამართა ინვალიდთა შორის, საბჭოთა კავშირის დელეგაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი კი ჩვენი თანამემამულე ქალბატონი მერი კალანდია გახლდათ.

სწორედ ამ მარათონზე და კიდევ სხვა საკითხებზე გვქონდა საუბარი ქალბატონ მერი კალანდიასთან მისი თბილისში ყოფნის დროს.

— მარათონი ნამდვილ დღესასწაულს ჰგავდა — ინვალიდთა გაბრწყინებული სახეები, ჯანმრთელთა საოცარი ყურადღება, როდესაც ვერ გრძნობ ფიზიკურ განსხვავებას და არ ხარ შებოჭილი არანაირი უხერხული გრძნობებით, განცდებით. არ გერიდება, — პირიქით, გრძნობ, რომ ეს შენი დღესასწაულია, არ გრცხვენია, ყველას უყვარხარ, გიყურებენ როგორც სრულყოფილ პიროვნებას და ადამიანს, წაშლილია ყოველგვარი კომპლექსები... მე მხოლოდ 20 კილომეტრის გავლა შევძელი. ნამდვილად მეყო ნებისყოფაც და წონასწორობაც შევინარჩუნე...

**— ქალბატონო მერი, თქვენ მოსკოვის სპორტული კლუბის „ახილეს ტრეკ კლუბის" წევრი ხართ, ახლო ურთიერთობა გაქვთ კლუბის პრეზიდენტთან, ბატონ რიჩარდ ტრაუმთან. გაქვთ თითქმის ყველაფერი, რაც საჭიროა თქვენთვის, მაგრამ ხალისით იტვირთეთ ახალი საქმე — საქართველოშიც შექმნათ ამგვარი კლუბი.**

— მე ქართველი ვარ! არ ყოფილა მხოლოდ ბედის ჩარხის ტრიალი მოსკოვში გადასახლების მიზეზისა. მე აქედან გულდაწყვეტილი წავედი. ავარიის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩემი პირველი ჯგუფის ინვალიდობის გამო სამსახურში აღარ მიღებდნენ... შევარდნაძის დონეზე გადაწყდა ეს საკითხი და მე დავუმტკიცე, რომ ისინი ცდებოდნენ. თუმცა, მაშინ სხვა დრო იყო. ამას დაემატა ისიც, რომ მოსკოვში მკურნალობის დროს გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე და იქვე შევქმენით ოჯახი. მე მეგობრები შევიძინე, რომელნიც ძალიან თბილნი და მოსიყვარულენი აღმოჩნდნენ. რა დამავიწყებს ერთ ეპიზოდს, როცა ერთმა რუსმა ქალმა ბარძაყიდან ხორცი აიჭრა და გადმომინერგა უანგაროდ. ის მაშინ ჩემთვის უცხო იყო, დღეს კი ძალიან ახლობელია... რამდენმა სხვადასხვა ეროვნების ადამიანმა სრულიად უანგაროდ გაიღო ჩემთვის სისხლი... თუმცა, ყველაფერი ეს შეიძლება არც მომეყოლა და ისევ ჩემს ვიზიტს დავუბრუნდეთ. ბატონი რიჩარდის დიდი სურვილია საქართველოში ასეთი სპორტული კლუბის გახსნა. იგი იქნება ამერიკის კლუბის ფილიალი, რომელსაც ეყოლება პრეზიდენტი. ეს დიდი და მრავალმხრივი სამუშაოა, რომლის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ჯანმრთელობის და სოციუზრუნველყოფის სამინისტრომ, რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტმა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ. სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის დაფუძნების შესახებ თავიდანვე შევიტყვე. ახლა აშკარად ჩანს, თუ რაოდენ რთული მისია აკისრია ამ კავშირებს. პრესაში ყოველთვის ვეცნობი თქვენს საქმიანობას. ჩანს, რადიკალურად შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ინვალიდთა მიმართ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ საქართველოში ინვალიდი სახლიდან, ოთხი კედლიდან გამოიყვანეთ, მოხდა მათი (იქნებ, ჯერ მხოლოდ ნაწილობრივი, მაგრამ ეს მეტად დასაფასებელია) სულიერი რეაბილიტაცია. მე ვიცი საქართველოში მიმდინარე ყველა მოვლენა, ვიცი, დღეს ძალიან დაძაბულია პოლიტიკური ცხოვრებაც, ამის გამო, ალბათ, ჯერჯერობით ყოვლად შეუძლებელიცაა თუნდაც ინვალიდთა საკითხების ყოველმხრივ დადებითად გადაწყვეტა, მაგრამ მწამს, დღევანდელი პარლამენტისა, მისი უზენაესი მიზნებისა, ყველაფერი დაიძლევა ჩვენი გაერთიანებით, ძალისხმევით და სიკეთეც გაიმარჯვებს. ბატონი რიჩარდი უაღრესად კეთილშობილი, სათნო, საოცრად გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანია. მისი პირადი სიმპატიები და სიყვარული საქართველოს მიმართ იმდენად ძლიერია, რომ იგი მზად არის ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ქართველი ინვალიდების სოციალურ და სულიერ რეაბილიტაციას. საჭიროა მხოლოდ საკითხის სერიოზული დამუშავება და გადაწყვეტა, რაც არც თუ ისე ძნელად შესასრულებელი მგონია, რადგანაც არსებობს ღვთისშვილთა კავშირი და იგი შესძლებს თავის ბაზაზე აღნიშნული კლუბის დაფუძნებას. ხოლო ადამიანები, შინაგანად გულმოწყალენი და კეთილნი ღვთის მადლით, საქართველოში მაინც არ დაილევა, ისინი, იმედი მაქვს, იქნებიან მზად მთელი სიცოცხლე და სიკეთე შეალიონ გაჭირვებულთა თანადგომას.

**— ქალბატონო მერი, ჩვენ (უკაცრავად ასეთი უხეში შედარებისთვის) ჯანმრთელნი, რა თქმა უნდა, ბოლომდე ვერ გავიგებთ თუ რამდენს ნიშნავს თქვენთვის ამგვარი მარათონებისა და ღონისძიებების მოწყობა...**

— რა თქმა უნდა, და ეს სავსებით ბუნებრივიცაა. მაგრამ, ეს ღონისძიებები ხომ ჩვენთვის სიცოცხლის, სიხარულის მომნიჭებელია. ჩვენ თითქოს მაშინ ვიბადებით. ასეთი დღეები ჩვენია, პირადად მე ვგრძნობ, რომ ეს დღე ჩემია და ჩემი მდგომარეობის ადამიანისა, ეს არის დღესასწაული, რომელიც არ ჰგავს სხვა რომელიმე დღეს. ერთი სიტყვით, ასეთი დღეები ჩვენ გვიხანგრძლივებს სიცოცხლეს, ცხოვრებას, რომელიც არც თუ ისე გვილხინს.

ამიტომ არის აუცილებელი ასეთი კლუბის შექმნა საქართველოში. მჯერა, რომ იგი შეიქმნება, რადგან არ შეიძლება შეგეძლოს აჩუქო ადამიენებს სიხარული და ეს არ გააკეთო, ამის უფლება არავის არა აქვს.

**— ქალბატონო მერი, რას უსურვებდით დღევანდელ საქართველოს?**

— დღეს ძალიან უჭირს საქართველოს, უჭირს ყველას, ვინც საქართველოში ცხოვრობს, დღეს მოლხენილი არავინაა. მაგრამ, მხოლოდ ჭირთათმენა და ერთმანეთის სიყვარული გვიხსნის ჩვენ ამ განსაცდელისაგან. მხოლოდ გონებისა და ჭკუის მოკრებით, ცოდვათა დიდსულოვანი მიტევებითა და შენდობით, ობიექტურობითა და სიმტკიცით შევძლებთ გამარჯვებას სატანაზე... ვოცნებობ თავისუფალ და ბედნიერ საქართველოზე, ეს არის ჩემი ჩუმი და ხმამაღალი ლოცვაც და მწამს, რომ თუნდაც ჩემი ვედრება არ დარჩება შეუსმენელი, მრავალგანსაცდელნახული ჩემი მიწა ამასაც გაუძლებს და მას არ გაწირავს უფალი, იგი თავისუფალი იქნება!

**— ღმერთმა გისმინოთ ქალბატონო მერი! გვჯერა, რომ კლუბის შექმნის იდეას საქართველოში ბევრი გულისხმიერებითა და ყურადღებით მოეკიდება.**

**ლია ბექაური**

**სურათზე:** ქალბატონი მერი კალანდია და მარიამი.

---

**— ბატონო გოგი, უკვე ოცი წელიწადა, რაც რუსთაველის თეატრში მუშაობთ, ხოლო თეატრთან თანამშრომლობა კიდევ უფრო ადრე დაიწყეთ. რამ განაპირობა თქვენი მოსვლა თეატრში?**

— საკვირველია, მაგრამ შემთხვევითობამ.

**— თეატრისადმი განსაკუთრებული ინტერესი არ გქონიათ?**

— როგორ არა, ძალიან მიყვარდა, მაგრამ აქ მუშაობა აზრადაც არ მომსვლია. ეს კავშირი თანდათანობით, ძალდაუტანებლად შედგა. ჯერ ჩემმა მეგობრებმა მიმიწვიეს თანამშრომლობისათვის, რამდენიმე ნამუშევარი გავაკეთე. მათ შორის რობერტ სტურუასთან ერთადაც. რაღაც გამოვიდა, დავინტერესდი, ჩამითრია და აი, დღემდე აქა ვარ.

**— როგორ ფიქრობთ, რა შეცვალა ამ არჩევანმა თქვენს ცხოვრებაში?**

— ჩემს დროს ძალიან უჭირდათ მხატვრებს არსებობა. თუ ახალს ეძებდი, უჩვეულოს, შენსას, შეუძლებელი იყო ამითი გეცხოვრა. ეს ეხლაა თავისუფლება, მაშინ ამის მსგავსი არაფერი ყოფილა და ამ სიტუაციაში თეატრი იყო თავშესაფარი, ხსნა მხატვრისათვის. თეატრს ძალიან ბევრმა შეაფარა თავი საქართველოშიც, საბჭოთა კავშირად წოდებულ დიდ ქვეყანაშიც და მსოფლიოშიც. ვფიქრობ, რომ თეატრი ბევრს აძლევს მხატვარს. მაგალითად, აქ მოსვლით მე იმის საშუალებაც მომეცა, რომ ოფიციალურ მხატვრობაში არ მიმეღო მონაწილეობა, გადავრჩი ოფიციალურ დაკვეთებს, რითაც ბევრმა ფულიც იშოვა და სახელიც მოიხვეჭა.

**— მაშასადამე, თეატრმა თავისუფლებაც შეგინარჩუნათ და საარსებო საშუალებაც მოგცათ?**

— საარსებო საშუალება დაემთხვა იმას, რომ მრავალფეროვანი და საინტერესო სამუშაო მქონდა... დაემთხვა ერთმანეთს, თორემ საარსებო საშუალებას სამხატვრო კომბინატიც მომცემდა.

**— თქვენს ფერწერაზე თუ იმოქმედა ამან?**

— აქ იყო საინტერესო პლასტიკური ამოცანები, მათზე მუშაობა შემდგომ ფერწერაშიც გამომადგა. ისე, ადამიანზე, მით უმეტეს თუ ის შემოქმედია, ყველაფერი მოქმედებს, ცხოვრების ყველა მომენტი, შემთხვევა, შთაბეჭდილება...

**— რით განსხვავდება თეატრის მხატვრისა და ფერმწერის ამოცანები?**

— ამოცანები და ხერხები მსგავსია, ძირითადი განსხვავება — ეს არის მოქმედების ადგილი.

**— როგორ ფიქრობთ, რა წილი შეაქვს თეატრის მხატვარს მომავალი სპექტაკლის მთლიანობაში, თეატრი ხომ სახიერი ხელოვნებაა, ის, თუ რა აცვია მსახიობს, რა გარემოში მოქმედებს — ძალზე ბევრს განაპირობებს...**

— თეატრში მხატვარი შეიძლება იყოს გამფორმებელი, რომელიც გარკვეულ დაკვეთას ასრულებს პიესის ეპოქიდან და სხვა კონკრეტული მოთხოვნებიდან გამომდინარე, და შეიძლება იყოს თანაშემოქმედი. ვფიქრობ, რომ ყველა სპექტაკლი, რომელმაც თეატრს სახელი მოუტანა, თანაავტორობის შედეგია. მე, მაგალითად, ვერ გამოვყოფ იქ მხატვარს და რეჟისორს.

**— შეიძლება თუ არა, რომ ზოგ შემთხვევაში მხატვარი მეტად მივიჩნიოთ სპექტაკლის ავტორად, ვიდრე დანარჩენი მონაწილენი?**

— არა, რადგანაც ისეთი ნაწარმოები, რომელიც დიდ აღიარებას პოულობს და ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს, ყოველთვის თანაშემოქმედების ნაყოფია, მისი შემქმნელნი თანაბარუფლებიანი არიან, როდესაც ერთ-ერთი სჭარბობს — ეს უკვე დამარცხებაა. ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობის დროს მხატვრისა და რეჟისორის თანამშრომლობა ხანგრძლივი და ნაყოფიერია.

**— ესე იგი, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მხატვარი შეიძლება შეიზღუდოს თეატრის კოლექტიური ბუნებით.**

— ჩემთვის ეს უცხოა. მხატვარს თეატრში ძალზე ბევრი და განმსაზღვრელი ფუნქცია აქვს. მხატვრის გადაწყვეტიდან გამოდის ბევრი მიზანსცენა, კოსტიუმი, განათება... უმთავრესი საშუალებები, რომლებიც სპექტაკლს სჭირდება, მხატვრის ხელშია. რეჟისორის ხელშია მსახიობი და შეიძლება მუსიკალური მხარე. ყველაფერი დანარჩენი მხატვარს ეხება...

და საერთოდ, თუ დაკვირვებიხართ იმ რეჟისორებს, რომლებიც

---

## ცხრა აპრილის ორი წლისთავთან დაკავშირებით

**მამულიშვილნო!**

1991 წლის 4 აპრილს ორი წელი სრულდება იმ დიდმნიშვნელოვანი თარიღიდან, რომელიც უდიდეს გარდატეხასთან არის დაკავშირებული და რომლის მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიულ მასშტაბებს იძენს. ოთხ აპრილს თბილისში, მთავრობის სახლის კიბეებზე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით პირველად საბჭოთა იმპერიის მიერ ოკუპირებულ საქართველოში დაიწყო მასობრივი შიმშილობა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით და მთელ საქართველოში ელვის უსწრაფესად გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოს დედაქალაქს მასობრივი გამოსვლებისა და გაფიცვების ტალღა მოედო, თავისუფლებისათვის ბრძოლის ყიჟინა ხუთი დღის განმავლობაში აზანზარებდა დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებს. იმპერიამ მხოლოდ შეიარაღებული ძალებით შეძლო იმ დიდი ეროვნული აზვირთების შეჩერება, რომელიც საყოველთაო დაუმორჩილებლობის სახეს იღებდა და ცხრა აპრილს, გამთენიისას სისხლი დაანთხია უიარაღო ხალხისა.

განუზომელია 4-9 აპრილის საყოველთაო გამოსვლების მნიშვნელობა. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი საფუძვლიანად შეირყა მთელს იმპერიაში, აღმოსავლეთ ევროპის ოკუპირებული ქვეყნები ხელიდან გამოეცალა საბჭოთა კავშირს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლამ საყოველთაო მასშტაბები და რეალური პერსპექტივები შეიძინა საქართველოსა და ბალტიისპირეთში. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ, დაღვრილი სისხლის მიუხედავად, ცხრა აპრილი უდიდესი გამარჯვება იყო.

**1991 წლის 4 აპრილს, ხუთშაბათს, დღის ოთხ საათზე კინოს სახლის წინ, შოთა რუსთაველის მოედანზე ეწყობა სახალხო მანიფესტაცია და მოგიწოდებთ ყველას, მონაწილეობა მიიღოთ მასში!**

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია.**

---


## გეპატიჟებათ საქართველოს ეროვნული ქორწინების სააგენტო!

თუ გსურთ ოჯახის შექმნა, ახალი მეგობრების შეძენა, მიმართეთ საქართველოს ეროვნული ქორწინების სააგენტოს.

რესპუბლიკაში უდიდესი საქორწინო კართოთეკის, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის, ანკეტირების საშუალებათა გამოყენებით სააგენტო რამდენიმე თვეში შეგირჩევთ გაცნობის შესაფერის ვარიანტებს.

სააგენტოსთან თანამშრომლობენ გამოცდილი ფსიქოლოგები, სოციოლოგები, დემოგრაფები, მედიცინის დარგის სპეციალისტები. მომსახურება ანონიმურია.

სააგენტოს ანკეტები შეგიძლიათ შეიძინოთ ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში, ამასთანავე განცხადებები მიიღება სააგენტოს მისამართზე: **380004, თბილისი — 4, საბურთალო უბანი — 114.**

იჩქარეთ! ბედნიერი წყვილების, მეგობრების რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

**საქართველოს ეროვნული ქორწინების სააგენტო.**

# რაკი ათი მცნება არსებობს...

## ამ დღეებში ცნობილ თეატრალურ მხატვარს გოგი ალექსი-მესხიშვილს 50 წელი შეუსრულდა. სწორედ ეს იქცა ამ ინტერვიუს საბაბად

თავის საქმეში ხელმძღვანელები აღმოჩნდნენ, არასოდეს ჰყოლიათ საკუთარი მხატვარი და თუ ჰყავდათ — ძალიან სუსტი. უმეტეს შემთხვევაში, ისინი მხატვრებს ხშირად იცვლიდნენ, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ საკუთარი ხედვა არ გააჩნიათ. მხატვარი რომ იმას ემსახურება, რომ ეს ხედვა განახორციელოს, ხორცი შეასხას სრულფასოვან მხატვრულ ჩანაფიქრს.

**— ბატონო გოგი, თქვენ მუსიკალურ თეატრშიც ნაყოფიერად მუშაობთ. მუსიკალური თეატრის წარმოდგენაში შემდეგი უძლიერესი და უპირატესად განმსაზღვრელი კომპონენტი — მუსიკა. არის თუ არა ეს მხატვრისათვის დრამატული თეატრისაგან განსხვავებული სამუშაო?**

— მუსიკალურ თეატრში მუშაობა უფრო რთულია. თუ დრამატულ თეატრში მუსიკა ერთ-ერთი დამხმარე მომენტია, აქ ის გამომხატველი უმთავრესი საშუალებაა. მუსიკალური თეატრი უფრო დიდი მოცულობისაა, სხვადასხვა მხატვრულ ხერხს გამოყენებას, კომპოზიციური გადაწყვეტის მრავალფეროვან შესაძლებლობებს ითვალისწინებს, თავისებურ პლასტიკურ აზროვნებას მოითხოვს... მე პირადად ორივეგან ბევრი საინტერესო სამუშაო მქონია.

**— რომელ ნამუშევარს გამოყოფდით, როგორც თქვენთვის უველაზე მნიშვნელოვანს?**

— აბა როგორ გითხრათ...

**— ალბათ, გაგიჭირდებათ, მაგრამ ხომ არ გამოარჩევდით რომელიმეს, თუნდაც იმათ, რომელიც სათანადოდ არ შეფასდა, თუმცა, ხშირად ჩვენს რეცენზიებში, მხატვრულ გაფორმებას ნაკლები ყურადღება ეთმობა...**

— ჩვენთან, საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, შეფასების ძალიან არაპროფესიული დონეა — კარგი, ლამაზი... ეს ხომ არაა კრიტერიუმი. ხოლო რაც შეეხება ჩემს ნამუშევრებს, რაც დრო გადის, ნამუშევრები სულ ნაკლებად და ნაკლებად მომწონს, იმიტომ რომ შეცდომებს ხედავ... ის „ოლდტ“ გავიხსენებდი, ძალიან ლამაზი სპექტაკლი იყო და უსამართლოდ დარჩა სათანადო შეფასების გარეშე. შემდეგ „ცარიელ წრეს“, და არის „მუსიკას“ და ჩემს ბოლო ნამუშევარს თბილისის საოპერო თეატრში რობერტ სტურუასთან ერთად — „ცისკროვან ანგელოზს“. მე მიმაჩნია, რომ საყოდაბაა, როდესაც ასეთი სპექტაკლები ჩვენთან არც მაყურებელს იზიდავს და არც შესაფერის აღიარებას პოულობს.

სიგრძელითი, სამწუხაროდ, ბევრი სპექტაკლი მაქვს გაფორმებული და ამიტომაც მიძნელდება ლაპარაკი...

**— რომელიმე ოპერული სპექტაკლი გაფორმეთ, არა?**

— ძალიან წარმოდგენა.

**— მათ შორის უცხოეთშიაც...**

— საზღვარგარეთ ჩემი ბოლო ნამუშევრებია — ჩეხოვის „სამი და“ ინგლისში და „ევგენი ონეგინი“ იტალიაში, ამ სპექტაკლების დამდგმელი რეჟისორია რობერტ სტურუა. ახლა შექსპირის დადგმას ვაპირებთ ფინეთში...

**— ბატონო გოგი, თქვენ ჟანრისა და სტილის მიხედვით ძალზე განსხვავებულ სპექტაკლებზე გიმუშავიათ, როგორ სამუშაოს ანიჭებთ უპირატესობას, ისეთს, სადაც მეტადაა გათვალისწინებული ეპოქის დეტალები, უფრო რეალისტური აქსესუარები, თუ განზოგადებული, სიმბოლური, პირობითი მანერა გირჩევნიათ?**

— არიან მხატვრები, რომლებსაც ერთი ხერხი აქვთ და ყველა პიესას მიუსადაგებენ ხოლმე. მე ამ მიმართულებას არ ვემხრობი. „ევგენი ონეგინი“, მაგალითად, ამოღებული კლასიკურ სტილში გავაკეთე, ხოლო იგივე „ცისკროვანი ანგელოზი“ ეპოქის სტილისა და ნიუანსების დეტალურ გათვალისწინებას სულაც არ საჭიროებდა, აქ ბევრად უფრო თავისუფალი ვიყავი ხერხების შერჩევაში. პირველ შემთხვევაში ლირიული მუსიკაა, მეორე შემთხვევაში კი უფრო თანამედროვე ჟღერადობის. ჩემი აზრით, სხვადასხვა კუთხიდან უნდა შეხედო ნაწარმოებს. არის სპექტაკლები, რომლებიც ძალიან მკაცრ გარემოს მოითხოვენ...

**— ჩიკამაცუს „შეუყარებელთა თვითმკვლელობაში“ იაპონური ნაციონალური ელფერია მოტანილი...**

— კი, მაგრამ იქ არ არის, რომ იტყვიან, ფსევდოეროვნული მოტივები. პირიქით, სპექტაკლი მთლიანად მუსიკალურ-გრაფიკულია. ვთქვი, რომ ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ნამუშევარია.

**— რა არის თქვენთვის ხელოვნება — ცხოვრების აზრი თუ მხოლოდ პროფესია?**

— როცა ხელოვნება მხოლოდ პროფესია ხდება — ცუდია. თეატრი რომ სამსახურად იქცევა, ეს უკვე დაღუპული საქმეა. მე სხვა არაფერი ვიცი, ჩემი არჩევანი გავაკეთე და ვთვლი, რომ ადამიანი ბედნიერია, როდესაც იმას აკეთებს, რაც უყვარს. ამავე დროს, რა თქმა უნდა, პროფესიონალი უნდა იყო, უამისოდ არაფერი გამოვა. სამწუხაროდ, დღეს აღარავინ ცდილობს გახდეს ნამდვილი პროფესიონალი.

**— თქვენი აზრით, რა დანიშნულება აქვს ხელოვნებას, რა მოაქვს მას ჩვენთვის, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ესოდენ ძნელია სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება, ყველაფერი არასტაბილურია... ემსახურება ხელოვნება ამ თვალსაზრისით ადამიანს?**

— რთული სათქმელია, შეიძლება პირდაპირ არ ეხმარება, მაგრამ კაცი, რომელიც კითხულობს პოეზიას, ინტერესდება თეატრით და მხატვრობით, გატაცებულია მუსიკით, შინაგანად უფრო კეთილისკენაა მიდრეკილი, ვიდრე ბოროტებისკენ.

**— ესე იგი, ხელოვნება აკეთილშობილებს ადამიანს.**

— მე მგონი, ყოველ შემთხვევაში, აიძულებს, რომ იაზროვნოს, სიკეთესა და ბოროტებაზე დაფიქრდეს. ხელოვნების უპირველესი მოწოდებაა იყოს მართალი, გამბედავი, მაძიებელი. ვფიქრობ, ჩვენი თეატრის სპექტაკლებს ყველა ეს თვისება აქვს — „მზიანი ღამე“, „ყვარყვარე“, „რიჩარდ მესამე“, „კავკასიური“, რომლებიც ერთი ამოსუნთქვით ჩამოვთვალე... მიუხედავად წინააღმდეგობებისა, თეატრს არასოდეს გადაუხვევია თავისი გზიდან. ბევრი რამ, რაზედაც დღეს ასე თამამად ლაპარაკობენ, ჩვენთვის გარკვეული თვალსაზრისით, უკვე განვლილი ეტაპია. რატომღაც ეს ძალზე ხშირად გვავიწყდება. ჩვენი თეატრი ყოველთვის წინ იყო, მწერლობასაც უსწრებდა. ქართულ მწერლობას, სამწუხაროდ, უჯრაში შენახული წიგნი არ აღმოაჩნდა, როგორც ერთმა ენამოსწრებულმა კაცმა თქვა: — ეტყობა უჯრა არ ჰქონდათო.

**— თქვენ ძალზე საინტერესო პერიოდში მოგიხდათ მუშაობა, მრავალი გახმაურებული სპექტაკლის შექმნაში მიგიღიათ მონაწილეობა და თქვენმა შემოქმედებამ მნიშვნელოვნად განაპირობა მათი მხატვრული სახე...**

— მე მომიწია ახმეტელის შემდეგ ყველაზე გამორჩეულ თაობასთან ურთიერთობა, — მიხეილ თუმანიშვილთან, რობერტ სტურუასთან, მედეა კუჭუხიძესთან და სხვებთან. ამან თავისთავად ძალზე ბევრი განაპირობა. დღეს, სამწუხაროდ, ახალგაზრდებს ველარ ვხედავ, საინტერესო აზროვნებაც რომ ჰქონდეთ და სათქმელიც გააჩნდეთ. ჩვენ დაუნდობლად ვმუშაობდით, თავდაუზოგავად, ეხლა კი თვეობით წელავენ საქმეს... ვიღაც უნდა მოვიდეს თეატრში, კინოშიც, მწერლობაშიც...

**— ბატონო გოგი, ოპტიმისტი ხართ თუ პესიმისტი?**

— ვფიქრობ, ჯერჯერობით ოპტიმიზმის საფუძველი მაინცდამაინც არა გვაქვს, შემიძლია ვიძახო ოპტიმისტი ვარ-მეთქი, მაგრამ განა ღირს თავის მოტყუება? სჯობს რეალისტები ვიყოთ. თუმცა, უკეთესი ცხოვრების იმედი მაინც არ უნდა დავკარგოთ.

**— როგორ ფიქრობთ. რას უნდა დაეყრდნოს ადამიანი არსებულ სიტუაციაში, რამ შეიძლება გააძლებინოს, იქნება საყვარელმა პროფესიამ?**

— რა თქმა უნდა, პროფესიამ, მაგრამ მთავარია არ გაბოროტდე. მე გაოცებული ვარ, როდესაც ვხედავ რამდენი სიავე და გაბოროტება დაგროვილა ჩვენში. ყველას დამნაშავეებად მივიჩნევთ, არავითარი მიმტევებლობა არ აღმოგვაჩნდა. ადამიანმა ზნეობის კანონებით უნდა იხელმძღვანელოს, ხომ არსებობს ათი მცნება. ერთი ჩემი მეგობრის თქმისა არ იყოს: — თუ ათივეს წაიკითხავ, ერთს ხომ მაინც შეასრულებო.

**ესაუბრა თამარ ბოკუჩავა.**

სულ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა კიდევ ერთი თეატრი — თეატრი-სტუდია „ექო“, რომლის დაარსების ინიციატორი და სულის ჩამდგმელი გახლდათ რეჟისორი ვარლამ ნიკოლაძე. საოცარი ენერგიის ადამიანი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი მუშაობისას დაუნდობელი და მკაცრია, მაგრამ იგი ცოცხლობს თეატრით, თეატრია მისი სიხარულიც და დარდიც. ვარლამ ნიკოლაძემ ფანტასტიკა სინამდვილედ აქცია, განა ფანტასტიკა არ იქნებოდა, ვინმეს რომ ეთქვა: „მსურს შევქმნა თეატრი, რომლის სცენაზე პროფესიონალი მსახიობის გვერდით იმუშავებენ თვალისჩინწართმეული და ყრუ-მუნჯი ადამიანები“. ახლა ეს რეალობაა. ექსპერიმენტული თეატრ-სტუდიის სცენაზე ცნობილი მსახიობების — ლეო ანთაძის, ლადო მექვაბიშვილის, თენგიზ მაისურაძის გვერდით მღერიან უსინათლო სერგო სამხარაძე, სულხან გველესიანი, თინა ბირკაძე და ცეკვავენ ყრუ-მუნჯი თამრიკო გოლიაძე, ნინო კუბლაშვილი, მორის რაზმაძე, ლალი ჯაფოშვილი, მალხაზ ქიქილაშვილი, ნუნუ ცერეტაევა. თეატრის მეოხებით მათ სიცოცხლეს მეტი აზრი და ხალისი მიეცა.

თეატრ-სტუდია გაიხსნა დრამატურგ გია კაჭარავასა და კომპოზიტორ გოგი ჩლაიძის ორმოქმედებიანი მიუზიკლით „პანორამა“. გია კაჭარავას პიესა იგავური, ალეგორიული ხასიათისაა და მასში იუმორი ძირითად საყრდენს წარმოადგენს, მაგრამ ეს მხოლოდ მანამ, სანამ პირველი სიცილი გადაივლის, მანამ, სანამ მოსწრებული სიტყვა-პასუხის მიღმა კარგად შენიღბული სატკივარ-საფიქრალი არ იჩენს თავს. ავტორის აზრით, ტირანის წარმოშობის წინაპირობად პოლიტიკური გარემო უნდა მივიჩნიოთ. სამწუხარო მაგალითად, პიესის მიხედვით, მთელი ჩვენი ცხოვრებაა მოყვანილი. ეს მწვავე პოლიტიკური ხასიათის გროტესკია.

კომპოზიტორი გოგი ჩლაიძე ზუსტად ჩასწვდა ავტორის აზრს და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, პიესას მისი ტოლფასი მუსიკა მიუსადაგა.

თეატრის შექმნის იდეის ჩასახვის დღიდან დასის ყველა წევრი ერთ მტკიცე კოლექტივად შეიკრა, რომელიც მხარში ედგა ვარლამ ნიკოლაძეს. ყველაფერი, რაც რეპეტიციაზე ხდებოდა, თანაბრად აღელვებდა ყველას. მათ სწამდათ, თუ ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ, უთუოდ გაიმარჯვებდა მათი საქმე. აკი გაიმარჯვეს კიდეც. რეჟისორის უპირველესი ღირსება ის არის, რომ მას უნარი შესწევს ზუსტად მიაკვლიოს მთავარსა და მეორეხარისხოვან სათქმელს, ყველას მიუჩინოს თავისი ადგილი.

რთული მისია ჰქონდა ბალეტმაისტერს, საქართველოს სახალხო არტისტს — ბექარ მონავარდისაშვილს,

### პირველი სპექტაკლი,



### პირველი შთაბეჭდილება



რომელსაც ძალიან დიდი სამუშაოს ჩატარება მოუხდა ყრუ-მუნჯებთან. უყურებ სპექტაკლს და ვერ ანსხვავებ, რომელია ყრუ-მუნჯი და რომელი პროფესიონალი მსახიობი.

ძალზე საინტერესოა მხატვრის იური გეგეშიძის ნამუშევარი. სპექტაკლი გაფორმებულია დახვეწილი გემოვნებით.

აღსანიშნავია მთავარი მოქმედი პირი, საქართველოს სახალხო არტისტი ლეო ანთაძე, ბატონი ლეო მთელი დატვირთვით მუშაობს ორ თეატრში — მარჯანიშვილის სახელობის თეატრსა და თეატრ-სტუდია „ექოში“. „პანორამაში“ ლეო ანთაძე ასრულებს ტირანის როლს, რომელიც აქ მგლის სახით არის წარმოდგენილი. ერთ მოქმედებაში მგელს ასამართლებენ როგორც ბოროტმოქმედს, მეორე მოქმედებაში კი იგი იმავე ბრალდებით ლამის ღმერთამდე აღაზევონ. მსახიობს აქვს გარდასახვის უდიდესი უნარი. მის ყოველ მოქმედებას ტაშით აჯილდოებს მაყურებელი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ლეო ანთაძის მიერ შესრულებული სიმღერები, მას აქვს არაჩვეულებრივი ტემბრის ხმა. მისი ხმა ყელიდან კი არა, გულიდან მოდის. სმენადაქვეითებული მსახიობი თამრიკო გოლიაძე ასე გვიხასიათებს ბატონ ლეოს, იგი პარტნიორებთან უსიტყვოდ, შინაგანი მოქმედებით, ამყარებს კონტაქტსო. იგი არ არის ერთი ინტონაციის, ერთი განწყობილების მსახიობი. გარდა ამისა, მის აქტიორულ ნიჭს იშვიათი ჰარმონიულობით ერწყმის პიროვნული თვისებები, შინაგანი კეთილშობილება.

სპექტაკლს დინამიურად შეერწყა აზა ცანავას მიერ შესრულებული სიმღერები და არტისტული ნიჭი. იმედია, ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი თეატრის მომავალ დადგმებშიც წარმოაჩენს თავის არტისტულ მონაცემებს. სპექტაკლს უამრავი მაყურებელი ჰყავდა. მშვენიერმა კოსტიუმებმა, კარგმა ქორეოგრაფიამ და ელვარე მუსიკამ, სპექტაკლი ლამაზ სანახაობად გადააქცია. გვჯერა რომ „ექოს“ სპექტაკლებზე ყოველთვის ხალხმრავლობა იქნება.

**ნინო ინწკირველი,**
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება თეატრ-სტუდიის ანგარიშზე 000601030 მთაწმინდის ბინსოცბანკი, თეატრ-სტუდია „ექოს“.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: რამდენიმე კადრი რეპეტიციიდან.

# ალორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოჩნდება თუ არა საქონელი 2 აპრილს?

გავრცელდა ხმები, რომ ფასების მომატებასთან დაკავშირებით ბევრი საწარმო, ბაზა და მაღაზია, შემდგომ მეტი გამორჩენის მიზნით, ცდილობს საქონლის გადანახვა-გადამალვას. როგორია ასეთი საქონლის მარაგი, რომელიც სავარაუდოა, 2 აპრილის შემდეგ გამოჩნდება ჩვენს მაღაზიებში?

სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული მონაცემებით 1991 წლის 1 მარტისათვის სასაქონლო მარაგის მოცულობამ კავშირში 52,5 მილიარდი მანეთი (ვაჭრობის 44 დღე) შეადგინა.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ თვით ნორმატიულ მარაგამდეც კი 19,3 მილიარდი მანეთის საქონელი გვაკლია (ანუ ვაჭრობის 20 დღე).

მაგალითად, მთელ კავშირში კულტსამეურნეო საქონლის მარაგი ოპერატიული მონაცემებით, სულ 3,5 მილიარდ მანეთად ფასდება, რაც ქვეყანაში საცალო საქონელბრუნვის 1%-ზე ნაკლებს შეადგენს.

ამ დროს ბაზებსა და მაღაზიებში საქონელი გადამალულია. მხოლოდ ბოლო ორი თვის მანძილზე ვაჭრობის სფეროში გამომჟღავნდა 11 მილიონ 151 ათასი მანეთის საქონლის გადამალვის 9,7 ათასი ფაქტი. მათ შორის იყო 4 მილიონ 416 ათასი მანეთის სასურსათო საქონლის გადამალვის 5,2 ათასი შემთხვევა.

მაგრამ მაღაზიების სიცარიელე ამით სულაც არ აიხსნება. მთავარი მიზეზი წარმოების დონის დაცემა და თითქმის ყველაფერზე ატეხილი აჟიოტაჟური მოთხოვნილებაა. მოსახლეობის ზოგიერთი გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ ბევრ ოჯახს პროდუქტების ნახევარი წლის მარაგი აქვს...

„არგუმენტი ი ფაქტი“.

## განცხადება

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მენეჯერული გაერთიანება კავშირს ამყარებს უცხოეთის საიმპრესარიო კანტორებთან. სხვადასხვა ქვეყნის საიმპრესარიო სამსახურებთან თანამშრომლობით შესაძლებელია მხოლოდ სისტემატიზირებული დონეების საფუძველზე. მენეჯერული გაერთიანება უფლებამოსილია, როგორც იურიდიული პირი, დაიცვას ცალკეული შემოქმედთა და კოლექტივების ინტერესები, და მზადაა მოემსახუროს ხალხური, კლასიკური, საესტრადო და საცირკო ხელოვნების, როგორც ცალკეულ ოსტატებს, ასევე მხატვრულ კოლექტივებს და საერთაშორისო მოთხოვნილებათა გათვალისწინებით შექმნას მათზე სისტემატიზებული დონეები.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგ მისამართზე: 380008, თბილისი, რუსთაველის პრ. № 22, III სართული, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მენეჯერული გაერთიანება, სამუშაო დღეებში 12-დან 15-სათამდე.

## თანამემამულენო!

1991 წლის 2 აპრილს თბილისში, კინოს სახლთან გამართება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებული მიტინგი.

მიტინგი დაიწყება 16 საათზე და მასში მონაწილეობას მიიღებენ პარტიის მთავარი კომიტეტის და დიდი საბჭოს წევრები, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრები.

მიტინგზე საუბარი იქნება საქართველოში დღეს შექმნილ მძიმე პოლიტიკურ სიტუაციასა და კრიზისიდან გამოსაყვან გზებზე.

საქართველოს (გაერთიანებული) ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.


დიდი და იშვიათი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალი ადვოკატი ჭემალ სერაფიონის ძე მალაქშანიძე აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას და რჩევა-დარიგებების მიცემას სამოქალაქო და სისხლის სამართლის კონკრეტულ (საბინაო, სამემკვიდრეო, საოჯახო, შრომითი, საყოფაცხოვრებო დავების, ჩაწერა-ამოწერის, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის) საქმეებზე.

ასევე ერთი შეხედვით უიმედო, ძნელად საწარმოებელი საქმეების დამუშავების, აურაცხელი დასკვნებისა და კონსულტაციების გაცემის სპეციფიკური გამოცდილების მეშვეობით შეუძლია ზუსტად აღმოაჩინოს სასამართლო და სხვა სამართლებრივი ორგანოების უხეში შეცდომები, მისცეს ზუსტი დასკვნები კანონზე დაყრდნობით, რაც საფუძველი გახდება არასწორი დადგენილების გაუქმებისა და დარღვეული უფლებების აღსადგენად.

მისამართი: თბილისი, ნეკრასოვის 18, ჩუღურეთის რაიონის იურიდიული კონსულტაცია.

ტელეფონი: 95-75-63

**დაინტერესებულ ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს**

თუ გაქვთ სურვილი, რომ თქვენი შენობა-ნაგებობის გარე იერი, შიდა ინტერიერი იყოს ესთეტიკურად მაღალ დონეზე გაფორმებული და პასუხობდეს დღევანდელ მოთხოვნებს, მიმართეთ საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის სამშენებლო მრავალდარგოვანი ფირმა „ლილეს“ დიზაინისა და გაფორმების საწარმოს.

სამუშაოები ჩატარდება დროულად სახელშეკრულებო ფასებში, როგორც დამკვეთის მასალით, ასევე საკუთარი სახსრებით.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 85-80-07.

მისამართი: აწერეთლის პროსპექტი 78ა.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

სამკურნალო მცენარეებით მკურნალობის ჩემეული მეთოდი დამყარებულია ფიტოთერაპიის თანამედროვე გამოცდილებაზე (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) და ძველ ხალხურ, ტრადიციულ ექიმობაზე. ფიტოთერაპიული საშუალებებით თქვენ შეგიძლიათ ჩემთან იმკურნალოთ: **ნევროზი, მაღალი წნევა, შინაგანი ორგანოების ქრონიკული დაავადებები (ანთება, წყლული), გართულებული კოლიტი, ღრძილების ანთება.**

მისამართი: **ჭიქიას ქ. №1** „საქართველოს ხალხური მედიცინის ასოციაცია“, ფიტოთერაპევტი **გიორგი ქუთათელაძე**, მიღება წარმოებს: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს: დილის 11 სთ-დან 14 სთ-მდე.

მოსახერხებელია წინასწარ ჩაწერა.ტელ: **37-38-13**. გთხოვთ დარეკოთ მხოლოდ საღამოს საათებში 21 სთ-დან 23 სთ-მდე.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქველმოქმედო ასოციაცია **„მზისა“**-ს ინიციატივით საინგილოში დაარსებას იწყებს ქართული კულტურული ცენტრი. დაინტერესებულ პირებს, ორგანიზაციებს გთხოვთ ამოგვიდგეთ მხარში.

ასოციაციის მისამართია: **დ.უზნაძის 68 (ყოფილი კამოს ქუჩა) II სართული, ოთახი 13. ტელ: 95-61-93.**

ჩვენი ანგარიშია: „ივერთბანკი“ მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველო 000161700(700174). კოდი 521921.

**საქველმოქმედო ასოციაცია „მზისა“**

**სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციებს და კოოპერატივებს**

თუ გსურთ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სწრაფი და მაღალხარისხიანი შესრულება, მიმართეთ საპროექტო ბიურო „საქსოფლრემმშენპროექტს“. ბიურო აწარმოებს სათბურების, ქარხნების, ფერმების ინდივიდუალური სახლების და სხვა ნებისმიერი სახის ობიექტების დაპროექტებას.

ცნობებისათვის მიმართეთ:

მისამართი: **ქ.თბილისი, ულიანოვის I შესახვევი 36ა.**

ტელეფონი: **62-07-58, 62-04-41 (09.00—17.00 სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა).**

ჯიმი ბროძელს და ეთერ გიორგობიანს ვულოცავთ ვერცხლის ქორწილს.

ირინა, მარიკა და დათო სიგუები.

თუ თქვენ გსურთ **საკომისიო (კომერციული)** მაღაზიის გახსნა მიმართეთ ფირმა **„ჰუმანიზმი“**-ს კომერციულ ცენტრს.

**ვიზების სათარგმნელად** მიმართეთ „სერვის ბიურო“-ს. ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში.

უცხოეთში წამსვლელებს შეუძლიათ ჩვენთანვე მიიღონ შესაბამისი ანკეტები და ვიზების ქსეროასლები.

თუ თქვენ გსურთ **ვიდეოთეკის** გახსნა, გაქვთ ვიდეო კასეტების გარკვეული რაოდენობა, გასაქირავებლად მიმართეთ ფირმა **„ჰუმანიზმი“**-ს კომერციულ ცენტრს.

**მისამართი:** ლერმონტოვის ქ. №19 (თავისუფლების მოედანთან), ტელ: 93-20-76

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

**იყიდება**

გერმანული და შვედური წარმოების სათამაშო ავტომატები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ-ზე: 96-64-59 9[00] სთ-დან 11[00] სთ-მდე.

**ვყიდი**

ახალ ავტომანქანა ზილ-431610-ს, რომელიც მუშაობს როგორც ბენზინზე, ასევე გაზზე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ-ზე: 39-45-60 ირაკლი.



Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56; წერილების განყოფილება — 93-99-40.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ვერაპ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, შ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Нам. индекс 68400

რედაქციის მისამართია: ქ. თბილისი — 380096. შ. კოსტავას ქ. № 14.